# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 1 ნოემბერი. 2023 წ. №122 (9654) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი

## რუსეთ-ამერიკის ომი წმინდა მიწაზე!



ნავთობის ქვეყანა იყო ახლო აღმოსავლეთი, სწორედ აქ მისცა სტალინმა ებრაელებს დასახლების შესაძლებლობა და ეს იყო ამერიკისა და ინგლისის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი, რადგან ამერიკასა და ინგლისს თავიდან არ უნდოდათ ებრაელების ჩასახლება იმ ტერიტორიაზე. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს სტალინმა მისცა, – „სადგისი არაბულ საჯდომში“.

ეს სტალინის ცნობილი სიტყვებია.

იხ. 4 გვ.

### „სადგისი არაბულ საჯდომში“...

## დედამიწა ჩვენი სახლია...

### ქართული მეცნიერების მნიშვნელოვანი კერა




იხ. 6 გვ.

ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი – 90

SIC!



ზელენსკი იარაღში არ მიიღეს!

## უკრაინისთვის გამოყოფილი ამერიკული იარაღი „ჰამასის“ ხელში აღმოჩნდა

იხ. 3 გვ.



გიზო ჟარნაძე:

## „რქაწითლის მტევანსა“ და სხვაზე

8

ეპისტოლური ესეი

# თურქეთი საქართველოს მეგობარია!

**„1923 წელს თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადებიდან 100 წელი გავიდა. დაარსების დღიდან ეს დიდებული ქვეყანა და ერი მრავალი გამოწვევის წინაშე მდგარა თანამედროვე, ინდუსტრიული და აყვავებული სახელმწიფოს შექმნის გზაზე. თავისი ურყევი მისწრაფებითა და თანმიმდევრული პოლიტიკით ამ 100 წლის განმავლობაში თურქეთი გახდა ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური და ეკონომიკური მოთამაშე როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ დონეზე. ჩვენ ძალიან ვაფასებთ თურქეთის უმნიშვნელოვანეს წვლილს მშვიდობის, სტაბილურობისა და განვითარების ხელშეწყობის საქმეში როგორც სამეზობლოში, ისე მის ფარგლებს გარეთ“**, – განაცხადა პრემიერმა.

მისი თქმით, დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან საქართველოსა და თურქეთს უნიკალური მეგობრობა და ძმობა აკავშირებთ.

**„ჩვენმა ქვეყნებმა შეინარჩუნეს თანამშრომლობა, რომელიც თანდათან გადაიზარდა მყარ სტრატეგიულ პარტნიორობაში. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ვლინდება ჩვენს დინამიკურ ეკონომიკურ თანამშრომლობაში. წლების განმავლობაში თურქეთი იყო საქართველოს ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო პარტნიორი. წელს, იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით, სავაჭრო ბრუნვით, რომელმაც 2 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა, თურქეთი საქართველოს ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორია. ვიმედოვნებთ, რომ ეს მაჩვენებელი ამ წლის ბოლომდე 3 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწევს, რაც ჩვენს თანამშრომლობაში კიდევ ერთი გარდამტეხი ეტაპი იქნება.**

### ირაკლი ღარიბაშვილმა თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული დღე მიულოცა რეჯეფ თაიფ ერდოღანს და თურქ ხალხს!



**ჩვენ ასევე მოხარულნი ვართ, რომ თურქული კომპანიები აგრძელებენ ინვესტირებას საქართველოს ეკონომიკაში და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელმა უკვე თითქმის 370 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია ბოლო სამი წლის განმავლობაში; ხოლო თურქული კომპანიების რიცხვი საქართველოში 10 000-ს აჭარბებს. ჩვენ ველით ამ რიცხვების შემდგომ ზრდას მომდევნო წლებშიც.**

**ჩვენი ქვეყნების სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, როგორც საქართველო, ასევე თურქეთი ასრულებენ გადამწყვეტ – ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელი რგოლის – როლს. სწორედ ამიტომ, შუა დერეფნის მეშვეობით დაკავშირებადობის გაზრდის მიზნით ისეთი სფეროები, როგორებიცაა ტრანსპორტი და ენერგეტიკა, დარჩება ჩვენს ერებს შორის ურთიერთობების გაღრმავების მამოძრავებელ ძალად. მოხარული ვარ, რომ ჩვენი ქვეყნები მიისწრაფვიან არსებული და დაგეგმილი რეგიონული ენერგეტიკული და ინფრასტრუქტურული პროექტების, მათ შორის – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენის, ასევე, ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო და სხვა პროექტების განხორციელებისკენ.**

**მინდა ხაზი გავუსვა, რომ დარწმუნებული ვარ, საქართველოსა და თურქეთს შორის არსებული შესანიშნავი ურთიერთობები და თანამშრომლობა გაგრძელდება და გაძლიერდება; ხოლო ჩვენი პარტნიორობა განუზომელ როლს ითამაშებს ჩვენი ყველა ინიციატივის განხორციელებაში როგორც ორმხრივ და რეგიონულ, ისე მრავალმხრივ დონეზე. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ნათელი მომავლის შექმნას ჩვენი ქვეყნებისთვის, ერებისა და სრულიად რეგიონისთვის.**



# პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის სხდომა გაიმართა

## ისევ სოციალური პრობლემები

**საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით 30 ოქტომბერს მთავრობის სხდომა გაიმართა.**

მინისტრთა კაბინეტის წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებულ 15 საკითხზე იმსჯელეს.

სხდომაზე განიხილეს პროექტი, რომლის მიხედვითაც ონკოლოგიური ქირურგია, როგორც გეგმური, ისე გადაუდებელი ოპერაციები, ქვეყნის მასშტაბით, ყველა ონკოპაციენტს (გარდა საზიუჯეტო სახსრებით დაზღვეული პირებისა) დაუფინანსდება. მათ შორის არიან დაზღვეული ვეტერანები და ის პაციენტებიც, რომელთა წლიური შემოსავალი 40 000 ლარზე მეტია.

**მიმდინარე წლის აგვისტოდან ჰორმონოთერაპია, ქიმიოთერაპია, სხივური თერაპია და მედიკამენტები, ქვეყნის მასშტაბით, ყველა ონკოლოგიურ პაციენტს უფინანსდებოდა. დღეს – საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ცვლილების მიხედვით – მოქალაქეებისთვის თანაბრად იქნება ხელმისაწვდომი როგორც ქიმიო/ჰორმონო/სხივური თერაპიებისა და მედიკამენტების, ისე ონკოლოგიური ქირურგიის დაფინანსება.**

**აღნიშნული გადაწყვეტილებით ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, თითოეული ბენეფიციარისთვის, მათი შემოსავლის მიუხედავად, თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება.**

მინისტრთა კაბინეტის წევრებმა ასევე განიხილეს პროექტი, რომლის მიხედვითაც სტომატოლოგიური მომსახურების მიმწოდებელთათვის ახალი სტანდარტები წესდება. ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივით მკაცრდება როგორც საქმიანობის დაწყების, ისე – ოპერირების წესები. ცვლილებების მიზანი პაციენტის უსაფრთხოების დაცვა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სერვისების უზრუნველყოფაა.

ცვლილების მიხედვით, სტომატოლოგიური დაწესებულებებისთვის განახლდა, დაზუსტდა და უფრო დეტალურად გაიწერა ინფექციის პრევენციის, კონტროლის, სტერილიზაცია-დეზინფექციისა და სამედიცინო ნარჩენების მართვის აუცილებელი კრიტერიუმები. პროცესის უკეთ სამართავად სავალდებულო გახდა დაწესებულებაში ინფექციების კონტროლზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფა.

**სტომატოლოგიური დაწესებულება ვალდებული ხდება, უზრუნველყოს თანამშრომელთა პროფილაქტიკური იმუნიზაცია B ჰეპატიტზე და სკრინინგი C ჰეპატიტზე ექვს თვეში ერთხელ.**

**ცვლილებებით განსაზღვრული მოთხოვნები, არსებული სტომატოლოგიური კაბინეტებისა და კლინიკებისთვის, სავალდებულო 2024 წლის იანვრიდან იქნება. ახალი დაწესებულებები კი მხოლოდ ამ სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში შეძლებენ საქმიანობის დაწყებას.**

**საქართველოს მთავრობის სხდომაზე ასევე იმსჯელეს 75 დევნილი ოჯახისთვის (196 პირი) საერთო სარგებლობაში არსებული ფართების საკუთრებაში გადაცემის საკითხზე. გადასაცემი ქონება თბილისსა და დაბა წყნეთში მდებარეობს. საუბრისას პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ მთავრობისთვის ერთ-ერთი უპირველესია დევნილი ოჯახებისთვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნა, შესაბამისად, ეს პროცესი აქტიურად გაგრძელდება, რომ არც ერთი დევნილი ოჯახი არ დარჩეს სახელმწიფოს ყურადღების გარეშე.**

გარდა ამისა, სხდომაზე განიხილეს ხუთი ელექტროსადგურის განვითარებისა და ხელშეწყობის პროექტი, რომელთა განხორციელებისთვის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები უნდა ჩატარდეს. მთავრობის სხდომაზე წარდგენილი ჰიდროსადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრე 118 მგვ-ზე მეტია, ხოლო ჯამურად განსახორციელებელი ინვესტიცია 167 მილიონ აშშ დოლარს აჭარბებს.

ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების წარმატებით დასრულების შემთხვევაში პროექტები შიდა ქართლის რეგიონში, კერძოდ – ქარელის, ხაშურისა და კასპის მუნიციპალიტეტებში განხორციელდება.



# თბილისში მიწის სისტემური რეგისტრაციის პროცესი დაიწყო

**თბილისში მიწის სისტემური რეგისტრაციის პროცესი იწყება, – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ საზოგადოებას იუსტიციის მინისტრ რატი ბრეგაძესთან ერთად ამცნო.**

ევროპის მოედანზე მიმდინარე ღონისძიებაზე მხარეებმა თბილისის მუნიციპალიტეტთან დაკავშირებულ კონკრეტულ დეტალებსა და პროექტის განხორციელების გრაფიკზე ისაუბრეს.

დედაქალაქის მერის, კახა კალაძის განცხადებით, თბილისში მწვავე პრობლემა იყო მიწების მიზანმიმართული მიტაცება, გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის ბევრი ნაკვეთი, რომელზეც საკუთრების უფლების დადგენა აღემატება მუნიციპალიტეტის ტერიტორიას. მისივე თქმით, აღნიშნულ პრობლემებს მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმა გადაჭრის.

**„ჩვენ ვართ ის ხელისუფლება და ის მთავრობა, რომელმაც მოახერხა და 2000-ზე მეტ ოჯახს დაუკანონა საცხოვრებელი ფართები. დღეს, ეს ადამიანები არ ცხოვრობენ შიშის ქვეშ, რომ ხვალ ვინმე გამოასახლებს.**

**ჩვენ ვართ ის ადამიანები, რომლებმაც მოვახერხეთ მშენებლობებით დაზარალებულების დაკმაყოფილება. მინდა გავიხსენო „სვეტი“, „ცენტრ პოინტი“, „ოლიმპიური ვარსკვლავი“ – ამ კომპანიების მშენებლობებით დაზარალებული ოჯახები დაკმაყოფილდნენ, ათასობით ოჯახი გავაბედნიერეთ.**

**ჩვენ ვართ ის ადამიანები, რომლებმაც შევძელით კოოპერატიული ბინათმშენებლობებით დაზარალებული ოჯახების დაკმაყოფილება და არ დარჩება არცერთი ადამიანი, ვისაც აღნიშნული პრობლემა აწუხებს. ამის მიუხედავად, დედაქალაქში არის ძალიან ბევრი მიწის ნაკვეთი, რომელზეც საკუთრების უფლების დადგენა აღემატება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას და დღემდე რჩებოდა ერთ-ერთ მწვავე პრობლემად. შესაბამისად, რამდენიმე თვის წინ, თბილისის მერიასა და იუსტიციის სამინისტროს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს მიწის სისტემური რეგისტრაციის პროცესში თბილისის მუნიციპალიტეტის ჩართვას“**, – განაცხადა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერმა თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა იუსტიციის სამინისტროს თითოეულ თანამშრომელს და პირადად მინისტრს, რატი ბრეგაძეს.

მიწის სისტემური რეგისტრაცია თბილისში ეხება მიწის ნაკვეთების მფლობელებს, რომელთაც არ აქვთ რეგისტრირებული საკუთრების უფლება.

**თბილისის მერიის ინიციატივით განისაზღვრა მიწის სისტემური რეგისტრაციის არეალები. აღნიშნულ პროცესში თავდაპირველად ერთვება ახალდაბა, ბეთანია, კვესეთი, კიკეთი და საღორისი, დეკემბრიდან – წყნეთი, მომავალი წლის თებერვალში - კოჯორი, აპრილში – ტაბახმელა, შინდისი, წავკისი, ივლისში – ძველი ვეძისი, დიდგორი და დიღომი.**

მიწის სისტემური რეგისტრაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით 2022 წლის პირველი იანვრიდან დაიწყო. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 2022-2024 წლებში საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა და თვითმმართველი ქალაქებისა) სისტემური წესით ეტაპობრივად ზომავს და კერძო, სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს სრულიად უფასოდ არეგისტრირებს.

სისტემური რეგისტრაცია არის პროცესი, რომლის დროსაც სახელმწიფო საკუთარი ინიციატივით, სისტემური წესით, ზომავს მიწის ნაკვეთებს კონკრეტულ არეალებზე, იძიებს შესაბამის დოკუმენტაციას და არეგისტრირებს საკუთრებას.

## „სექსისტური“ დაპირისპირება პარლამენტში



**საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გუშინ ხმაური და სიტყვიერი დაპირისპირება იყო.**

„ქართული ოცნებისა“ და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის ცხარე კამათი საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, ირაკლი ბერაიას მიერ ოპოზიციონერ დეპუტატზე, თეონა აქუბარდიაზე გაკეთებულ განცხადებას მოჰყვა.

**ხატია დეკანოიძემ განაცხადა, რომ ირაკლი ბერაიასა და ალუდა ღუდუშაურის მიერ ანა წითლიძისა და თეონა აქუბარდიას მიმართ გაკეთებული განცხადებები არის სექსისტური, ქალების მიმართ შეურაცხმყოფელი და ძალადობრივი, რაც რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს.**

ხატია დეკანოიძის მსგავსად, კოლეგები დაიცვა იაგო ხვიჩიამ, მან მოითხოვა, რომ ირაკლი ბერაიამ სხდომათა დარბაზში ქალი დეპუტატის მიმართ ბოდიში მოიხადოს.

**ოპოზიციონერი დეპუტატების მიერ გაკეთებულ განცხადებებს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი გამოეხმაურა. მან იაგო ხვიჩიას მოუწოდა, მორალური პედესტალიდან ნუ ისაუბრებს. სპიკერმა ისიც თქვა, რომ პიროვნულ შეურაცხყოფაზე თავად იღებს შენიშვნას, ვინაიდან დეპუტატისთვის გამოსვლა დროულად უნდა შეეწყვეტინებინა.**

ამ განცხადებების შემდეგ სხდომათა დარბაზში სიტყვიერი დაპირისპირება იყო იაგო ხვიჩიას, ირაკლი ქადაგიშვილსა და მამუკა მდინარაძეს შორის.

## ი. ბერაია: ვაღიარებ, პარლამენტში ჩემი ემოციური გამოსვლის გამო გულწრფელად მინდა, ბოდიში მოვიხადო



– ამის შესახებ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ, **ირაკლი ბერაიამ** განაცხადა.

**„ჩვენთვის ყოველთვის ძალიან მტკივნეული, მძიმეა, როცა მმართველ გუნდს, პირადად მე და ჩემს კოლეგებს უაპელაციოდ, უსამართლოდ და უღირსად სდებენ ბრალს რუსეთის ინტერესების გატარებაში. მით უმეტეს, როდესაც ამას სისტემატური ხასიათი აქვს. ჩვენთვის ეს არის წითელი ხაზი, რომელსაც, ბუნებრივია, არასოდეს შევეგუებით. ძალიან კარგად ვიცით, რას ვაკეთებთ თითოეული ჩვენგანი ამ ქვეყნის ეროვნული ინტერესების გაღრმავებისთვის, დეოკუპაციისთვის და საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციისთვის.**

**როდესაც სამარცხვინოდ და უაპელაციოდ ხდება ჩვენი დადანაშაულება ეროვნული ინტერესების ხელყოფაში, კრემლთან კავშირში და კრემლის ინტერესების გატარებაში, რა თქმა უნდა, ამაზე ყოველთვის გვაქვს მწვავე რეაქცია და ეს გამოსვლაც სწორედ მსგავსი ტიპის განცხადებაზე გამოხმაურებას ემსახურებოდა. მეორე ნაწილს რაც შეეხება, რა თქმა უნდა ვაღიარებ, რომ ეს იყო ემოციურად გადაჭარბებული, იმ განცხადების სიმძიმიდან გამომდინარე, რასაც ჩვენ მუდმივად ვისმენთ. ამის გამო, გულწრფელად მინდა, ბოდიში მოვიხადო. ამასთან დაკავშირებით სხვა კომენტარის გაკეთებას არ ვაპირებ. ყველაფერი გასაგებია“!..**



## ზურაბიშვილი რუსეთის მოქალაქეებზე:

# შემაშფოთებელია, როცა ქვეყანაში გყავს მტრის ენაზე მოლაპარაკე ადამიანები!

**საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა, ტელეკომპანია სითის გადაცემა „60 წუთში" საქართველოზე მომზადებულ სიუჟეტში, რომელიც რუსეთის ოკუპაციას ეხება, საქართველოში შემოსული რუსეთის მოქალაქეების შესახებ ილაპარაკა.**

სალომე ზურაბიშვილის კომენტარი მოსდევს სიუჟეტში განვითარებულ მსჯელობას, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა 2022 წლის 24 თებერვალს უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრის ერთ-ერთ მიზეზად რუსულენოვანი მოქალაქეების დაცვა დაასახელა. უკრაინაში მიმდინარე ომის გამო საქართველოში რუსეთის ასი ათასი მოქალაქე ჩამოვიდა. ამ პროცესს სალომე ზურაბიშვილი „შემაშფოთებელს უწოდებს".

**„ძალიან შემაშფოთებელია, როდესაც შენს საკუთარ ქვეყანაში არიან ადამიანები, რომლებიც მტრის ენაზე ლაპარაკობენ, იქცევიან და სჯერათ, რომ სახლში არიან. ეს ზღვარი უნდა შენარჩუნდეს, რომ მომავალში არ გვქონდეს ინციდენტები, რომლებიც რუსეთს თავისი საყვარელი დოქტრინის – რუსულენოვანი მოქალაქეების დაცვის გამოყენების საშუალებას მისცემს"**.

კითხვაზე, რატომ არ ამბობს უარს საქართველო რუსეთის მოქალაქეების ქვეყანაში შეშვებაზე, სალომე ზურაბიშვილი უპასუხებს, რომ ეს კითხვა ხელისუფლებას მიემართება: **„მე არ მაქვს აღმასრულებლის ძალა, სამწუხაროდ"**, – თქვა სალომე ზურაბიშვილმა.

რაც შეეხება ევროინტეგრაციას, ჟურნალისტის კითხვაზე, არ ჩანს, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი დაინტერესებული იყოს ევროკავშირში გაწევრიანებით, სალომე ზურაბიშვილი ამბობს, რომ ეს კითხვა – მართლაც არიან თუ არა დაინტერესებული – აქვს საქართველოს მთელ მოსახლეობას. კითხვაზე, იგრძნობა თუ არა, რომ ამ კრიტიკულ დროს საქართველოს დასავლეთისა და შეერთებული შტატებისგან საკმარისი მხარდაჭერა აქვს, სალომე ზურაბიშვილი უპასუხებს.

**„არ ვფიქრობ ასე და მოვიყვან ერთ კონკრეტულ მაგალითს: უკვე 5 წელია, პრეზიდენტი ვარ და ვერ შევძელი მქონოდა ნებისმიერი ფორმის შეხვედრა ჩემს დონეზე – პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის დონეზე, სატელეფონო ზარითაც კი. მესმის, რომ არის უფრო სასწრაფო საკითხები, მაგრამ, ვფიქრობ, საჭიროა მეტი საჯარო აღიარება ფაქტის, რომ აშშ მხარს უჭერს ჩვენს კანდიდატის სტატუსს ევროკავშირთან. ვიცი, რომ ეს არის ჩვენს ევროპელ პარტნიორებთან ამერიკის ენა, მაგრამ ეს უნდა მეორდებოდეს უმაღლეს დონეზე. ეს მნიშვნელოვანი იქნებოდა საქართველოს მოსახლეობისთვის"**, – ამბობს **სალომე ზურაბიშვილი.**

სავარაუდოდ, ნოემბერში გახდება ცნობილი, გასცემს თუ არა ევროკომისია რეკომენდაციას საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე. ევროკომისიის დასკვნის შემდეგ, 2023 წლის ბოლომდე, ევროპული საბჭოს ლიდერები შეაფასებენ საქართველოსა და სხვა ქვეყნების პროგრესს.

## შალვა პაპუაშვილი: სამოქალაქო დაპირისპირების დაფინანსებას ყოველ ჯერზე ვამხელთ!



**ჩვენი პასუხისმგებლობაა, შევინარჩუნოთ სამოქალაქო მშვიდობა. ვისი ფულიც არ უნდა იყოს, რომელი სახელმწიფოც არ უნდა იყოს, სამოქალაქო დაპირისპირების დაფინანსებას ყოველ ჯერზე ვამხელთ,** – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილმა** განაცხადა.

**– კანონპროექტის მომზადების მიზეზი იყო გამოძიება, რომელიც მიმდინარეობს. კადრები ვნახეთ, რომ უცხოური დაფინანსებით ადამიანების რადიკალურ განწყობებში მომზადება ხდება, მათ შორის ხელისუფლების ჩამოშლის ინსტრუმენტების სწავლება და ასე შემდეგ. ცვლილებები მომზადდა იმ საფრთხეებიდან გამომდინარე, რაზეც იყო საუბარი, რომ აქციების საფარქვეშ შესაძლოა, ადამიანების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას საფრთხე შეექმნოდა. მარტში ჩვენ ვნახეთ „მოლოტოვის კოქტეილით" მორბენალი ხალხი, რომელიც სხვა ადამიანებს ცოცხლად წვავდა. დღემდე იმ ადამიანს დამწვრობის შედეგები აღენიშნება, მესამე თუ მეოთხე ხარისხის დამწვრობა ჰქონდა. ეს ყველამ „გაატარა" – არც რომელიმე „ენჯეოს" და არც რომელიმე უცხოური აქტორის განცხადება არ მომისმენია, რომ დაეგმოთ. პირიქით, ვნახეთ, რომ „სირცხვილიას", რომელიც ამერიკული და ევროპული ფონდებიდან ფინანსდება, პირდაპირი კამპანია ჰქონდა, რომლითაც ადამიანების ცოცხლად დაწვის რომანტიზებას ახდენდა. მათ „მოლოტოვის კოქტეილი" პლაკატად აქციეს, უკრაინის ფერებში გადაღებეს, ევროკავშირის დროშები ვარსკვლავად და ნაპერწკლებად მიახატეს და მიაწერეს – მე ვესროლეო. ანუ, ამბობენ, რომ „სირცხვილიას" წევრი იმ ადგილას რომ ყოფილიყო და საწვავი ნივთიერებით სავსე ბოთლი ყოფილიყო, ისიც ესროდა. ამ ყველაფერს ამართლებენ და ამაში ამერიკული, ევროპული ფონდების ფული იხარჯება.**

**ჩვენი ხალხის მიზანია სამოქალაქო მშვიდობა. ზოგიერთი ფონდის და მათი ადგილობრივი მენეჯერების ამოცანაა სამოქალაქო დაპირისპირების შემოტანა. როგორც ჩანს, გადაჯაჭვული არიან პოლიტიკურ პარტიებთან. რა თქმა უნდა, ჩვენი პასუხისმგებლობაა, შევინარჩუნოთ სამოქალაქო მშვიდობა. მიუხედავად იმისა, ვინ დგას ამ ტრენინგებისა და ინიციატივების უკან, ვისი ფულიც არ უნდა იყოს, რომელი სახელმწიფოც არ უნდა იყოს, სამოქალაქო დაპირისპირების დაფინანსებას ყოველ ჯერზე ვამხელთ, ამაზე საუბარი გვექნება.**

**სამწუხაროა, რომ „კანვასის" სკანდალის შემდეგ, USAID-ის ადგილობრივი წარმომადგენლობისგან ძალიან ბუნდოვანი და არაადეკვატური განმარტებები გვესმის. მათ შორის, ვნახეთ სარეკლამო კამპანია ბანერების სახით. ერთი რჩევა მექნება, რომელსაც, სამწუხაროდ, USAID-ის ადგილობრივი წარმომადგენლობა არ ისმენს. არადა, მათ ვურჩევდი, საქართველოს პარლამენტის, ხალხის მიერ არჩეული ადამიანების რჩევები გაითვალისწინონ, რაც, საბოლოო ჯამში, მათთვის სასარგებლოა, რადგან რეპუტაციული ზიანი რომელიღაც ადგილობრივ ჩინოვნიკს კი არ ადგება, არამედ ამერიკელი ხალხის კეთილ სახელს, რასაც უნდა გაუფრთხილდნენ.**

**ძალიან კარგად ვიცი, ამერიკელ ხალხს რა დახმარება აქვს საქართველოსთვის გაწეული. სწორედ ის მაწუხებს, რომ რამდენიმე ადგილობრივი ჩინოვნიკი დახმარებას საფრთხეს უქმნის. მათ ვურჩევდი, კომერციული რეკლამის ნაცვლად, გულწრფელი იყვნენ ქართველი ხალხის მიმართ, რომელიც სიმართლესა და გულწრფელობას აფასებს. ვურჩევდი, თვითრეფლექსია ჰქონდეთ და ცოტა თვითკრიტიკულად გაანალიზონ, რას აკეთებენ, რა იცოდნენ, რა – არა, რა ინფორმაცია ჰქონდათ, რა – არა და სად შეიყვანა შეცდომაში ამა თუ იმ „ენჯეომ". ყველა კითხვას უპასუხონ.**

**2024 წლის არჩევნები ახლოვდება და უპასუხონ კითხვას, როდის გაიგო USAID-ის ადგილობრივმა წარმომადგენელმა, რომ პარალელური დათვლის შედეგები, რომელსაც „ისფედი" ავრცელებდა, იყო ყალბი. ეს მანამდე გაიგეს, ვიდრე საჯაროდ გახდებოდა ცნობილი? თავად „ისფედმა" თუ აღიარა, რომ დონორს ერთი თვით ადრე აცნობეს, თუ იცოდნენ, რატომ მალავდნენ იმ პირობებში, როცა ამერიკის საელჩო ფასილიტატორად იყო ჩართული მხარეებს შორის. იგივე ეხება „კანვასის" საკითხებს. აქაც იყვნენ გულწრფელები. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ასეთ საკითხებს კომერციული რეკლამა არ შველის, გულწრფელობაა საჭირო. თურმე კანონდარღვევებს, ჯარიმებს უცხოური ფულით უხდიან. 12 ადამიანის ჯარიმა გადაიხადეს. ამას მალავს როგორც „ენჯეო", ასევე მისი დონორები. ვის ფულს იხდიან, ვინ არის ეს 12 ადამიანი? ასეთი ჯარიმების გადახდა არა მხოლოდ ზიანს აყენებს ჯარიმების პრევენციულ მიზანს, არამედ შესაძლოა, ეს არასწორად იყოს გაგებული ექსტრემისტული ჯგუფების მხრიდან, როგორც კარტბლაში მომავალი ძალადობის. ამიტომ ყველა ამ საკითხს განმარტება სჭირდება. პრობლემაზე თვალის დახუჭვა პრობლემას არ წყვეტს",** – განაცხადა პაპუაშვილმა.

**სამწუხაროა, რომ „კანვასის" სკანდალის შემდეგ, USAID-ის ადგილობრივი წარმომადგენლობისგან არაადეკვატური განმარტებები გვესმის**

შეგახსენებთ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში გამართულ ბრიფინგზე 2 ოქტომბერს განაცხადეს, რომ ორგანიზაცია „კანვასის" წევრები სასტუმროში შეხვდნენ NGO-ებს, სამოქალაქო აქტივისტებს, გაიმართა დიდი ჯგუფის გადამზადება, რომელმაც გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს ხელისუფლების დამხობის პროცესში. მათივე ცნობით, 26-29 სექტემბერს USAID-ის დაფინანსებით ჩატარებულ კონფერენციას ორგანიზება „კანვას – საქართველომ" და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტმა გაუწიეს. სუს-მა „კანვასის" წარმომადგენლების მიმართ ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების ნაწილი გამოაქვეყნა.

# SIC! უკრაინისთვის გამოყოფილი ამერიკული იარაღი „ჰამასის" ხელში აღმოჩნდა

## ზელენსკი ისრაელში არ მიიღეს!



**უკრაინის პრეზიდენტს, ვლადიმერ ზელენსკის ისრაელში სოლიდარობის გამოცხადების მიზნით ვიზიტი სურდა, თუმცა მას ისრაელის მხარემ უთხრა, რომ დრო სწორად არ არის შერჩეული.**

მიზეზი, რატომაც უკრაინის პირველი პირი ისრაელმა არ მიიღო, დაკავშირებულია იარაღის სკანდალთან. კერძოდ, უკრაინისთვის გამოყოფილი ამერიკული იარაღის ნაწილი პალესტინელი ტერორისტების – „ჰამასის" ხელში აღმოჩნდა, რომელსაც ისრაელის წინააღმდეგ იყენებს. აღსანიშნავია, რომ **ნეთანიაჰუს** ადმინისტრაციამ ასევე უარი უთხრა ვიზიტზე რადას სპიკერს **რუსლან სტეფანჩუკს** და პრემიერ-მინისტრს **დენის შმიგალს.**

აღსანიშნავია, რომ უკრაინაში მიმდინარე კორუფციული სკანდალი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კიევის დასავლელ პარტნიორებზე და აფერხებს იარაღის მიწოდების პროცესს. ევროპელები აცხადებენ, რომ რთულია იარაღის კონტრაბანდის თავიდან აცილება, რასაც თავის დროზე ვერ მიაღწიეს ყოფილ იუგოსლავიაში და დარწმუნებული არიან, რომ ვერ აიცილებენ უკრაინაშიც.

იხ. 4 გვ.

# რუსეთ-ამერიკის ომი წმინდა მიწაზე!



**ებრაელებს არავინ მისცემს უფლებას, გაჟლიტონ პალესტინელები, რადგან არაბული სამყარო მსოფლიოში გაბნეული ებრაული დასახლებების განადგურებას დაიწყებს**

# „სადგისი არაბულ საჯდომში“...

**რა იწვევს იმას, რომ „ჰამასის“ მიერ ჩადენილი სისასტიკის მიუხედავად, მსოფლიო საზოგადოების არცთუ მცირეოდენი ნაწილი მაინც ცდილობს, პალესტინელების საქციელს გამართლება მოუძებნოს?!**

**თვით გაეროს გენერალური მდივანი ანტონიუ გუტერეშიც კი გაეროს მაღალი ტრიბუნიდან ამბობს, რომ ისრაელზე „ჰამასის“ თავდასხმა ცარიელ ადგილზე, ანუ ვაკუუმში არ მომხდარა, რადგან პალესტინელ ხალხს 56 წელია ოკუპაცია ახრჩობს და ძალადობას განიცდის. გუტერეში მიიჩნევს, რომ „ჰამასის“ სასტიკი თავდასხმის მიუხედავად, პალესტინელი ხალხი კოლექტიურად არ უნდა დაისაჯოს. ამასთან, გაეროს შეფასებით, ისრაელი არღვევს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებს.**

აღარაფერს ვამბობთ **ერდოღანზე**, რომელმაც „ჰამასს“ „მოჯაჰედების განმათავისუფლებელი ჯგუფი“ უწოდა, რომლებიც თავიანთი მიწისა და მოქალაქეების დაცვას დარაჯობენ. ამასთან, ერდოღანი აკრიტიკებს იმ ქვეყნებს, რომლებიც ამ ისლამისტურ დაჯგუფებას ტერორისტულს უწოდებენ.

Amnesty International-ის შეფასებით, ისრაელის სამხედრო ქმედებები ღაზას სექტორში მშვიდობიანი მოსახლეობის ტანჯვას იწვევს. პარალელურად, ისრაელი უარყოფს გაეროს გენერალური ასამბლეის მოწოდებას ღაზაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და ამ მოწოდებას „საზიზღარს“ უწოდებს.

რატომ არის აზრი გაყოფილი ისრაელისა და პალესტინის მხარდამჭერებს შორის და რატომ არ წყდება პალესტინელების მხარდამჭერი საპროტესტო აქციები პარიზში, ათენში, ლონდონში, ვარშავაში? რატომ ამოიღეს მიზანში დამსაქმებელმა კომპანიებმა ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებმაც „ჰამასის“ თავდასხმაზე პასუხისმგებლობა ისრაელის აპარტეიდულ რეჟიმს დააკისრეს და ისრაელის მიერ ღაზას დაბომბვას „კოლონიალური სამაგიეროს გადახდა“ უწოდეს?

* * *

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის ევროპული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი **კახა გოგოლაშვილი** For.ge-სთან საუბრისას ამბობს, რომ, მართალია, ანტონიუ გუტერეშმა გააკრიტიკა ისრაელი, მაგრამ ახლა ისრაელის კრიტიკა უადგილოა, რადგან ისრაელის მდგომარეობაში უნდა შევიდეთ, როგორ აფექტშია იქაური მოსახლეობა „ჰამასის“ თავდასხმის შემდეგ.

**„გუტერეშმა ძველი ამბავი გაუხსენა ისრაელს, რომ ისრაელი არ თანხმდება პალესტინის სახელმწიფოს შექმნას. მე მგონი, ახლა ის დრო არ არის, გუტერეშს ამაზე დაეწყო ლაპარაკი. რაც შეეხება პუტინსა და ერდოღანს, რუსეთისთვის „ჰამასი“, „ჰესბოლა“ და ირანი, ყველაფერი ეს წარმოადგენს შესაძლებლობას, რამენაირად უკრაინაში გაიმარჯვოს. შესაძლოა, რუსეთმა პროვოცირებაც კი გაუკეთა „ჰამასის“ შეჭრას ისრაელში, ისიც შესაძლებელია, მთელი არაბული სამყარო ამხედრდეს ისრაელის, ანუ დასავლური სამყაროს წინააღმდეგ, რადგან ამერიკა და ევროპა არასდროს არ მიატოვებენ ისრაელს“**, – აცხადებს **კახა გოგოლაშვილი.**

მისივე შეფასებით, „ჰამასის“ მხარეს არანაირი სიმართლე არ არის, მაგრამ სხვა საქმეა პალესტინელი ხალხი, მათ აქვთ თავიანთი პრეტენზიები ისრაელის მიმართ, თუმცა თვითონაც ძალიან ბევრი დააშავეს ისრაელის წინაშე, როცა ომი რამდენჯერმე წამოიწყეს. პალესტინელები კვებავენ ტერორიზმს, ტერორისტულ აზრებს, საერთოდ არ ცნობენ ისრაელის სახელმწიფოს. პალესტინელებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ღაზაში ძირითადად რადიკალური ანტიებრაელი პალესტინელები არიან. დანარჩენები, ქრისტიანი პალესტინელები და იორდანეს დასავლეთ ნაპირზე მცხოვრები პალესტინელები შედარებით ლიბერალურები, ნაკლებად აგრესიულები არიან.

კახა გოგოლაშვილის აზრით, თავისთავად, ისრაელის პოლიტიკაც შეიძლება გავყოთ, სხვაგვარი იყო იცხაკ რაბინის პოლიტიკა, რომელიც ცდილობდა, შერიგებოდა პალესტინელებს და მზად იყო, ბოლოს და ბოლოს, ეღიარებინათ ეს ორი სახელმწიფო – პალესტინის და ისრაელის. ახლანდელი პრემიერი ნეთანიაჰუ კი რადიკალებთანაა გარიგებული, ნეთანიაჰუმ ყველაფერი გააკეთა ვითარების გასამწვავებლად. თავისთავად, ამ საქმეში ჩარეულია ირანიც.

* * *

პოლიტოლოგი **იგორ კვესელავა** მიიჩნევს, რომ ისტორიული კუთვნილების საკითხი, თუ ვის ეკუთვნის ეს სადავო ტერიტორია, უძველესი ეპოქიდან, ჩვენს წელთაღრიცხვამდე პერიოდიდან მოდის. თუ ათვლის წერტილად ავიღებთ ადამს და მის შვილებს, შვილიშვილებს, აღმოჩნდება, რომ პალესტინელები და ებრაელები ერთმანეთთან ახლოს დგანან.

**„სადავო ადგილი პალესტინის საკუთრებაა. ებრაელებს პატივს ვცემ, მაგრამ ისტორიული სინამდვილე ასეთია. ებრაელების ისტორია – საიდან იყვნენ, როგორ იყვნენ, მერე არსად არ ჩანდნენ, შემდეგ უკვე ებრაელების სახელმწიფოს შექმნა სტალინთანაა დაკავშირებული. სტალინმა სწორად განსაზღვრა, რომ ნავთობის ქვეყანა იყო ახლო აღმოსავლეთი, სწორედ აქ მისცა სტალინმა ებრაელებს დასახლების შესაძლებლობა და ეს იყო ამერიკისა და ინგლისის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი, რადგან ამერიკასა და ინგლისს თავიდან არ უნდოდათ ებრაელების ჩასახლება იმ ტერიტორიაზე. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს სტალინმა მისცა, ბოდიში ამ გამოთქმისთვის, „სადგისი არაბულ საჯდომში“, ანუ მისცა ებრაელები. ეს სტალინის ცნობილი სიტყვებია. ებრაელების სახელმწიფოს შექმნაც სტალინმა გადაწყვიტა და ეს მოხდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 1946-47 წლებში. მანამდე ებრაელებს საბჭოთა კავშირში გამოყოფილი ჰქონდათ მიწები, ციმბირის იქით და დასახლდნენ კიდეც იმ ტერიტორიაზე. არსებობს გერმანელი, რუსი, ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი ებრაელები, ებრაელთა სახელმწიფოებრიობის საკითხი მოგვიანებით დადგა, რაც სიონისტურ მოძრაობას უკავშირდება. სიონის ბრძენთა ოქმებიცაა შემდგარი, რომლებიც ებრაელების კონსტიტუციასავითაა“**, – აცხადებს **იგორ კვესელავა.**

პოლიტოლოგის სიტყვით, ახალი აღთქმა ქრისტეს უკავშირდება, ძველ აღთქმაში კი ბევრი რამ გადმოღებულია გილგამეშის ეპოსიდან, ქრისტეს ჯვარცმის თემატიკა უძველესი ეპოქიდან მომდინარეობს, ქრისტეს დედა – მარიამ ღვთისმშობელი კაპადოკიიდანაა, კაპადოკია დაკავშირებული იყო კოლხებთან და ლაზებთან. არსებობს მოსაზრება, რომ მარიამ ღვთისმშობელი კოლხური წარმოშობისაა, წმინდა ნინოც და წმინდა გიორგიც კაპადოკიიდან იყვნენ.

იგორ კვესელავას აზრით, ებრაელებს უფლება აქვთ, ჰქონდეთ თავიანთი სახელმწიფო, მაგრამ არაბებსაც და პალესტინელებსაც უფლება აქვთ, ჰქონდეთ საკუთარი სახელმწიფო, სამწუხაროდ, პალესტინელებს მისცეს მხოლოდ ავტონომია. ამიტომ ებრაელები და არაბები ერთმანეთს მტრობენ.

პოლიტოლოგი აცხადებს, რომ ახლა მსოფლიოს ებრაელები მართავენ, ისინი მთელ მსოფლიოში გაფანტულნი არიან – ბრიტანეთში, საფრანგეთში, ამერიკაში... ებრაელების შემდეგ მეორე ადგილზე არიან სომხები, სომხებს უზარმაზარი დიასპორა აქვთ მთელ მსოფლიოში.

**რაც შეეხება გუტერეშის განცხადებას, რომ პალესტინელ ხალხს ოკუპაცია ახრჩობს, იგორ კვესელავა ამბობს, რომ გულახდილად თუ ვიტყვით, ევროპაშიც და სხვაგანაც ხალხის სიმპათია არაბების მხარესაა, ისრაელს მხარს უჭერს ამერიკა და ბრიტანეთი. ებრაელებს არავინ მისცემს უფლებას, გაჟლიტონ პალესტინელები. შედეგი ძალიან ცუდი იქნება, მოხდება ის, რომ მთელი მსოფლიოს ძალიან დიდი არაბული სამყარო, რომელსაც ფულიც აქვს და ეკონომიკური შეძლებაც, ტერორისტებიც ჰყავს და დივერსანტებიც, მსოფლიოში გაბნეული ებრაული დასახლებების მთლიან განადგურებას დაიწყებენ, ებრაელები აღიგვებიან მიწისაგან პირისა. ეს კი არ აწყობს არც ამერიკას, არც ბრიტანეთს.**

**მანანა ნოზაძე**

# უკრაინისთვის გამოყოფილი ამერიკული იარაღი „ჰამასის“ ხელში აღმოჩნდა

**(მესამე გვერდიდან)**

ის, რომ უკრაინა ომის პარალელურად იარაღით ვაჭრობდა, ამის შესახებ დასავლური მედია ღიად მიანიშნებდა და ამ სკანდალის სათავეში თავდაცვის ყოფილ მინისტრს **ოლექსი რეზნიკოვს** ასახელებდა, რომელიც თანამდებობიდან გადააყენეს. მინისტრის შეცვლის ოფიციალურ ვერსიად კორუფცია არ დასახელებულა, თუმცა ბოლო პერიოდში უკრაინის თავდაცვის სამინისტროში აქტიურად მიმდინარეობს გამოძიება იარაღის შესყიდვის დროს ქრთამის აღების შესაძლო ფაქტებზე.

**იარაღის ვაჭრობის საქმე იმდენად სკანდალური გახდა, რომ ნატოსა და ევროკავშირის ქვეყნები უკრაინისთვის მიწოდებული იარაღის მონიტორინგს ითხოვენ და აცხადებენ, რომ არსებობს საშიშროება კრიმინალურ ჯგუფებს ქვეყნიდან კონტრაბანდის სახით გააქვთ იარაღი და ევროპის შავ ბაზარზე ყიდიან.**

**ნატოს წევრი ქვეყნები განიხილავენ კიევთან უკრაინისთვის მიწოდებული იარაღის მონიტორინგის სისტემის გარკვეულ ფორმას ან დეტალური აღრიცხვის სიებს. გამოცემა „ფაინენშელ თაიმსი“ წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ მთელი ეს იარაღი ჩადის სამხრეთ პოლონეთში, ტრანსპორტირდება საზღვართან და შემდეგ, უბრალოდ, ნაწილდება მანქანებში საზღვრის გადასაკვეთად: სატვირთო მანქანებში, ფურგონებში, ზოგჯერ კერძო ავტომობილებში. „ამ მომენტიდან ჩვენ არაფერი ვიცით მათი ადგილმდებარეობის შესახებ და წარმოდგენა არ გვაქვს, სად მიდის ის, სად გამოყენება და ისიც კი, რჩება თუ არა ის ქვეყანაში“**, – განუცხადა გამოცემას ერთ-ერთმა დასავლელმა მაღალჩინოსანმა.

როგორც იარაღის კონტროლისა და საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ, **ბონი დენის ჯენკინსმა** განაცხადა, იმის შესაძლებლობა, რომ უკრაინაში გაგზავნილი იარაღი არასწორ ხელში მოხვდეს, არის მრავალ განსახილველ საკითხს შორის ქვეყანაში არსებული რთული ვითარების გათვალისწინებით.

**„აშშ ძალიან სერიოზულად უდგება ჩვენს პასუხისმგებლობას, დაიცვას ამერიკული წარმომავლობის თავდაცვითი ტექნოლოგიები და აღკვეთოს მათი გაჟონვა ან უკანონო გავრცელება“**, – განაცხადა **ბონი დენის ჯენკინსმა.**

„ხალხის ძალის“ წევრი, ანალიტიკოსი **დავით ქართველიშვილი** ღია წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციის თანახმად აცხადებს, რომ ისრაელის პარლამენტი ამზადებს რიგ განცხადებებს უკრაინიდან „ჰამასის“ მისამართით შეიარაღების მიწოდების თაობაზე. როგორც ქართველიშვილი აღნიშნავს, ისრაელმა ახალი ფაქტები მოიპოვა – „ჰამასის“ განკარგულებაში აღმოჩნდა სარაკეტო ტექნოლოგიები ჩრდილოეთ კორეიდან, რომლებიც თავის დროზე უკრაინის სამხედრო-სამრეწველო საწარმოდან **კიმ ჩენ ინს** ჯერ კიდევ **იური ნალივაიჩენკომ** გადასცა.

**„საუბარი მიდის მსხვილ პარტიებზე, რომლებიც ბრიტანელი შუამავლების მეშვეობით გადამისამართებული იყო ალბანეთიდან და ბულგარეთიდან ლიბიის საზღვაო ნავსადგურებში უკრაინის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის მთავარი სამმართველოს ხაზით. „მოსადმა“ და „შაბაქმა“ უკვე დაუდასტურეს ქნესეთს აღნიშნული ინფორმაცია. სწორედ ამით არის განპირობებული ისრაელის უარი ქვეყანაში პრეზიდენტ ზელენსკის ჩამოსვლაზე, რომელიც ცდილობს ადგილზე ჩაახშოს მომავალი საერთაშორისო სკანდალი. ასე რომ, ზელენსკის თავზე ჩამოწოლილი ღრუბელი კიდევ უფრო სასტიკ ელფერს იძენს“**, – წერს **დავით ქართველიშვილი.**

პოლიტოლოგი, საერთაშორისო ურთიერთობათა მკვლევარი **თამარ კიკნაძე** აცხადებს, რომ თვითონ დასავლელი პოლიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ეს ომი ძალიან დიდი შემოსავლის წყარო გახდა და მილიარდები დააგროვეს. კიკნაძე სწორედ იარაღის სკანდალს უკავშირებს უკრაინის რადაში ინიცირებული ლობიზმის შესახებ კანონპროექტს.

**„ეს გაკეთდა იმისათვის, რომ ფინანსური ნაკადები იქნას გაკონტროლებული არ არის გამორიცხული, რომ უკრაინელი მაღალჩინოსნები იარაღის ვაჭრობით ყოფილიყვნენ დაკავებული და პრინციპში, არიან კიდეც. ცხადია, რომ დიდი ფული კეთდება და შესაბამისად, ამან უკრაინის სასარგებლოდ არ ითამაშა. გარდა ამისა, უკვე მობეზრდა ყველას უკრაინის საკითხი და ეძებენ გამოსავალს, როგორ გამოვიდნენ ამ „ჩიხიდან“**, – აღნიშნა For.ge-სთან საუბრისას **თამარ კიკნაძემ.**




# მაზაკვალი ნაცდაჯგუფება რუსთავის მტერია!

რუსთავის მერიამ ქალაქის საკრებულოს უმრავლესობას, რომელიც ოპოზიციური პარტიების, „ნაციონალური მოძრაობისა“ და პარტია „საქართველოსთვის“ წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული, სასამართლოში უჩივლა.

**„ბოლო ორი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ამჟამინდელი საკრებულო მუშობას შეუდგა, რუსთავის მერია ქალაქის განვითარებისთვის საჭირო პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების პარალელურად, სისტემატურად იბრძვის იმისთვის, რომ საკრებულოს უმრავლესობაში მყოფი „ნაციონალური მოძრაობისა“ და პარტია „საქართველოსთვის“ წევრების მავნებლური უმოქმედობის რეჟიმიდან გამოყვანა შეძლოს და საკრებულოს თავისი ფუნქცია დაუბრუნოს. რუსთაველები დღეს კარგად ხედავენ ქალაქში მიმდინარე პროცესებს და 2024 წელი, პრემიერის, მთავრობისა და საპარლამენტო გუნდით, იქნება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებისა და რეფორმების მიმართულებით. ამ ფონზე არის საშიშროება, რომ ვიწრო პოლიტიკურ მიზნებს გადაყოლილი, ფუნქციადაკარგული საკრებულო სერიოზულ ზიანს მოუტანს ჩვენს ქალაქს“**, – განაცხადა **ნინო ლაცაბიძემ.**

მისივე თქმით, რუსთავის მერიის არაერთი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა.

**„რუსთავის მერიის არაერთი მცდელობა, საჯარო მიმართვა, წერილობითი მოთხოვნა ამაო აღმოჩნდა პოლიტიკური დაჯგუფების მიმართ. რუსთავის საკრებულოს უმრავლესობაში მყოფი „ნაციონალური მოძრაობა“ და „საქართველოსთვის“ კოალიცია, უფრო დაჯგუფებას ვუწოდებდი, საკრებულოს რეგლამენტის უხეში დარღვევით აფერხებს, თვეობით აჩერებს კომისიიდან საკრებულოს სხდომაზე არ გადააქვს, არ იხილავს და დაუსაბუთებლად უკან აბრუნებს ქალაქისთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის ახალი ინვესტიციების შემოსვლა. ამ საკითხებზე რუსთავის გუნდი მუშაობს თვეობით.**

**რუსთაველების ინტერესების დასაცავად და იმისთვის, რომ საკრებულოს ოპოზიციურმა კოალიციამ თავისი მოვალეობის შესრულება ორი წლისთავზე მაინც დაიწყოს, იძულებული გავხდით, მიგვემართა სასამართლოსთვის. როცა ქალაქში რამდენიმე ათეული მილიონი ლარის ინვესტიციის განხორციელება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ხელოვნურად ფერხდება, როდესაც რუსთაველების ინტერესები ილახება და ქალაქის განვითარებას გამიზნულად ეშლება ხელი, ვალდებულები ვართ, გამოვიყენოთ ყველა ის კანონიერი ბერკეტი, რომელიც კანონის ფარგლებში მოიყვანს და დააბრუნებს რუსთავის საკრებულოში მყოფ ორ პარტიას, რომლებიც ქალაქის წინააღმდეგ ქმნიან ხელოვნურ ბარიერებს“**, – აღნიშნა ნინო ლაცაბიძემ.

**სარჩელი რუსთავის სასამართლოში 27 ოქტომბერს შევიდა.**

# ო, უკანასკნელო – TV პირველო! ო, საცოდავო შავნოდარავ!

ქართუ ჯგუფი
CARTU GROUP

## „ქართუ ჯგუფის“ განცხადება

### „ქართუ ჯგუფი“ განცხადებას ავრცელებს, სადაც აღნიშნულია, რომ, ბიძინა ივანიშვილის დისკრედიტაციის მიზნით, ცრუ ინფორმაცია გავრცელდა

განცხადების თანახმად, გავრცელებული ინფორმაცია ეხებოდა აშშ-ის სახელმწიფო სახაზინო დეპარტამენტის მიერ კვიპროსელი იურისტის, ქრისტოდულოს ვასიალიადესის სანქცირების ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებას. „ქართუ ჯგუფის“ განმარტებით, ბიძინა ივანიშვილის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას საერთო არაფერი აქვს სიმართლესთან და დეზინფორმაციის კამპანია დისკრედიტაციის მორიგ წარუმატებელ მცდელობას წარმოადგენს.

**„გვსურს, გამოვეხმაუროთ „ნაციონალური მოძრაობის“ და ამ პარტიის მიერ კონტროლირებადი მედიასაშუალებების მიერ ბიძინა ივანიშვილის დისკრედიტაციის მიზნით გავრცელებულ უპასუხისმგებლო და ცრუ ინფორმაციას, რომელიც ეხებოდა აშშ-ის სახელმწიფო სახაზინო დეპარტამენტის მიერ კვიპროსელი იურისტის, ქრისტოდულოს ვასიალიადესის სანქცირების ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებას. ქრისტოდულოს ვასილიადესი დასანქცირებამდე თავისი კომპანიის, Krista-ს მეშვეობით იურიდიულ და სარეგისტრაციო მომსახურებას უწევდა ბიძინა ივანიშვილის კომპანია Ledra-ს. აღნიშნული პიროვნება საკუთარი კომპანიებით ანალოგიურ მომსახურებას უწევდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოქმედ ათასობით ბიზნესსუბიექტს.**

**აშშ-ის სახელმწიფო სახაზინო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, ვასილიადესის დასაქნცირების მიზეზი იყო რუს ბიზნესმენ ალიშერ უსმანოვთან მისი კავშირი. აშშ-ს სახაზინო დეპარტამენტის სიაში მითითებულია ყველა ის კომპანია და ფიზიკური პირი, რომლის დასანქცირებაც მოხდა, მათ რიცხვში შევიდა ვასილიადესის კომპანია Krista. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს და მასთან დაკავშირებულ კომპანიებს, სანქცირებულ პირთა სიაში მოხსენიებული, რა თქმა უნდა, არ არის დასანქცირებულ პირებთან კავშირის არარსებობის გამო. მიუხედავად ამისა, TV პირველმა, გადაცემაში „ნოდარ მელაძის შაბათი“ მოამზადა სიუჟეტი, სადაც ბიძინა ივანიშვილი და მასთან დაკავშირებული კომპანიები წარმოაჩინა სანქცირებულ პირებად.**




**ამავე გადაცემაში ბიძინა ივანიშვილის ადვოკატმა, ლაშა კალანდაძემ განაცხადა, რომ Krista მხოლოდ იურიდიულ მომსახურებას უწევდა Ledra-ს. ამის მიუხედავად, სიცრუის მანქანამ განაგრძო მაყურებელის მიზანმიმართული მოტყუება ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული კომპანიების თითქოსდა სანქცირების თაობაზე.**

**ასევე აბსურდულია „აგრო ქართუს“ აქტივების გადაცემის დაკავშირება სანქცირებულ ვასილიადესთან. „აგრო ქართუ“ არის კომპანია, რომელმაც განახორციელა ჯიღაურას სამეცნიერო კვლევითი ცენტრის უნიკალური პროექტი და იგი უსასყიდლოდ გადასცა სახელმწიფოს. დღეს „აგრო ქართუ“ ახორციელებს კიდევ ერთ უნიკალურ და საშვილიშვილო საქმეს, რაც გულისხმობს გადაშენების პირას მყოფი ფრინველების გადარჩენას და შემდგომში მათ ბუნებაში გაშვებას. 2021 წელს კომპანია Ledra-მ ეკატერინე ხვედელიძეს გადასცა „აგრო ქართუს“ წილი, ვასილიადესის Krista-ს სანქცირებამდე ორი წლით ადრე. ამის მიუხედავად, ცილისმწამებელი მედიასაშუალებები ამ ფაქტს ისე წარმოაჩენენ, თითქოსდა ეს რაიმე კავშირში იყოს სანქციებთან. შესაბამისად, ბიძინა ივანიშვილის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას საერთო არაფერი აქვს სიმართლესთან.**

**დეზინფორმაციის ეს კამპანია წარმოადგენს დისკრედიტაციის მორიგ, წარუმატებელ და უსუსურ მცდელობას, რითიც TV პირველი და „ნაცმოძრაობის“ სხვა მარგინალური ტელევიზიები ახდენენ სიცრუის ტირაჟირებას. დაბოლოს, ბიძინა ივანიშვილი, უკვე დიდი ხანია, ისედაც იმყოფება დე ფაქტო ფინანსური სანქციების ქვეშ და მასზე ვერანაირი შანტაჟი ზეგავლენას ვერ მოახდენს“!..**

პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძის** განცხადებით, ჯერჯერობით რთულია ასეთი ბრალდება წავუყენოთ უკრაინას, რადგან შემდგარია სამშობლოსთვის დაცვის ურთულეს გზაზე.

**„ამ დროს ასეთი უსიამოვნო და კრიმინალური ბრალდება, საკმაოდ მძიმეა. მით უმეტეს, რომ ქვეყანა, რომელიც თვითონ ათასობით ადამიანს კარგავს, კიდევ ამ ქვეყანამ იარაღი მიყიდოს ვიღაცას და ფაქტობრივად, სიკვდილის ინსტრუმენტი – იარაღი გაამრავლოს და სხვა ქვეყნებში სიკვდილიანობას შეუწყოს ხელი (ამ შემთხვევაში ასეთ მსხვერპლად სჩანს ისრაელი), ეს არის ერთმანეთთან შეუთავსებელი, მით უმეტეს თუ გავიხსენებთ, რომ ბოლო პერიოდში უკრაინის განცხადებების ლაიტმოტივი იყო, რომ აღარ გვაქვს იარაღი და მოგვახმარეთო.**

**ამ ფონზე საკუთარი იარაღის სხვისთვის მიყიდვა, არანაირ მორალში არ ჯდება“**, – აცხადებს **პოლიტოლოგი.**

ყველა მიმწოდებელი ქვეყანა შეიძლება იყოს ჩართული იარაღის ბიზნესში და თვითონ უკრაინის ელიტაც – ასკვნის რ. საყვარელიძე.

**„შეიძლება იყოს სხვა ქვეყნები და მათ შორის მიმწოდებელი ქვეყნები, რომლებმაც შეიძლება მიაწოდონ იარაღი და თვითონაც მიიღონ „შავი ფული“ - ე.წ. „ატკატი“. ამის გამორიცხვა არ იქნება. მეტიც, ჩვენისთანა პატარა ქვეყნიდან, რომელიც ახლა ყალიბდება სატრანზიტო ქვეყნად, შეიძლება რაღაცა ინტერესები იყოს ჩაქსოვილი მსოფლიო მასშტაბის ამგვარ ოპერაციაში. ქვეყნების მთელი სისტემა არის ჩართული ამ კორუფციულ პროცესში და არა ერთი, ან ორი ქვეყანა და ეს უკვე ცხადია“**, – აღნიშნა For.ge-სთან საუბრისას **რამაზ საყვარელიძემ.**

**თამთა ქარჩავა**

## ეროვნული ბანკი:

# არასამთავრობოთა ბრალდება საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობაა!

**„ეროვნული ბანკი ეხმაურება არასამთავრობო ორგანიზაციების გარკვეული ნაწილის მიერ დღეს გავრცელებულ ბრალდებას, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად, სებ-ი აშშ-ის მიერ დასანქცირებული პირებისთვის ხელის დაფარებაშია დადანაშაულებული.**

**საქართველოს ეროვნული ბანკი სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ აღნიშნული ბრალდება აბსოლუტურად უსაფუძვლოა და მიზნად ისახავს არა მხოლოდ ქვეყნის ცენტრალური ბანკის, არამედ მთელი საბანკო სისტემის დისკრედიტაციასა და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობას.**

**გაუგებარია, რა აძლევს არასამთავრობო სექტორს მსგავსი განცხადების გაკეთების საფუძველს მაშინ, როდესაც ამ დრომდე საქართველოს საფინანსო სისტემაში სანქციების აღსრულების პროცესის დარღვევის არცერთი კონკრეტული შემთხვევა არ დაფიქსირებულა.**

**აქედან გამომდინარე, სანქციების დარღვევის ხელშეწყობაში საქართველოს ეროვნული ბანკის დადანაშაულება კატეგორიულად მიუღებელია. მით უფრო, ჩვენ არასდროს, განხილვის დონეზეც კი არ ვუშვებთ სანქციების გვერდის ავლას. საქართველოს საფინანსო სისტემა ზედმიწევნით ასრულებს საერთაშორისო პარტნიორების მიერ დაწესებულ მოთხოვნებს. მიუხედავად არაერთი გამოწვევისა, სანქციების აღსრულების პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალე და ეფექტურია. რეგულაციებში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება მორგებულია არა კონკრეტული პირების ინტერესებს, არამედ ემსახურება სანქციების აღსრულების პროცესის სრულ შესაბამისობას ადგილობრივ კანონმდებლობასა და საერთაშორისო მოთხოვნებთან.**

**ეროვნული ბანკი მუდმივ კომუნიკაციაშია საერთაშორისო პარტნიორებთან. საქართველოს საფინანსო სისტემა არასდროს ყოფილა და არც მომავალში იქნება სანქციებისგან თავის არიდების ადგილი, რისიც სწამთ და სჯერათ ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებსაც.**

**საქართველოს ეროვნული ბანკი და საფინანსო სისტემა, მომავალშიც გააგრძელებს ყველა იმ ზომის გატარებას, რაც ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის განმტკიცებისა და გაძლიერებისთვის აუცილებელია“!**

# ქართული მეცნიერების მნიშვნელოვანი კერა

## ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი – 90

გეოგრაფიის ინსტიტუტი შეიქმნა 1933 წლის 16 მარტს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის კათედრების ბაზაზე, ქართული გეოგრაფიული მეცნიერებისა და ქართული გეოგრაფიული სკოლის ფუძემდებლის, აკადემიკოს ალ. ჯავახიშვილის თაოსნობით. იგი იყო ინსტიტუტის პირველი დირექტორი, რომელსაც 29 წლის განმავლობაში (1933-1962) ხელმძღვანელობდა.

ინსტიტუტის დაარსება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული მეცნიერებისა და კულტურის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

ინსტიტუტში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ცნობილი მეცნიერები: თეოფანე დავითაია, გიორგი გეხტმანი, ლევან მარუაშვილი, შალვა ყიფიანი, ალექსანდრე ასლანიკაშვილი, გიორგი გველესიანი, ვახტანგ ჯაოშვილი, ზურაბ ტატაშიძე, დავით უკლება, არჩილ კიკნაძე და სხვ.

1933-1962 წწ. გეოგრაფიის ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი ალ. ჯავახიშვილი; 1962-1979 წწ. – აკად. თ. დავითაია; 1980-1981 წწ. – აკად. წ/კ, პროფ. ალ. ასლანიკაშვილი; 1982-1991 წწ. – გეოლოგია-მინერალოგიის მეცნ. დოქტ. თ. კიკნაძე; 1991-1992 წწ. – გეოგრ. მეცნ. დოქტ., რ. კვერენჩხილაძე; 1993- 2005 წწ. აკად. წ/კ., პროფ. ზ. ტატაშიძე; 2005-2006 წწ. გეოგრაფიის მეცნ. დოქტ., რ. გობეჯიშვილი; 2007 წლიდან დღემდე გეოგრაფიის დოქტორი, ალ. ჯავახიშვილის სახ. საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი ნ. ბოლაშვილი.

1945 წლის 9 მარტს გეოგრაფიის ინსტიტუტი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში გაერთიანდა, ამავე წელს გეოგრაფიის ინსტიტუტს დიდი ქართველი მეცნიერის ვახუშტი ბაგრატიონის სახელი ეწოდა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით 2006 წელს ინსტიტუტს მიენიჭა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაექვემდებარა, ხოლო 2010 წელს მიუერთდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს, როგორც დამოუკიდებელი კვლევითი ინსტიტუტი.

**თავისი საქმიანობის 90 წლის მანძილზე (1933-2023) ინსტიტუტმა დიდი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ჩაატარა მთიანი მხარეების, და კერძოდ, საქართველოსა და კავკასიის ტერიტორიების კომპლექსური გეოგრაფიული შესწავლის თვალსაზრისით.**

გეოგრაფიის ინსტიტუტის კვლევის ძირითადი მიმართულებებია: ბუნებრივი რესურსების შეფასების, გეოეკოლოგიის (გარემოს დაცვის), ბუნებრივ-სტიქიური პროცესების, გლაციოლოგიის, სპელეოლოგიის, კლიმატის თანამედროვე ცვლილების (გლობალური



ალექსანდრე ჯავახიშვილი

დათბობა და გაუდაბნოება), შავი ზღვის სანაპირო ზოლის მორფო და ლითოდინამიკური პროცესების, თოვლ-მყინვარების, პალეოგლაციოლოგიური, კარსტული მღვიმეების, წყლის რესურსების, ტურისტულ-რეკრეაციული, ისტორიული გეოგრაფიის და ტოპონიმიის კვლევები ლანდშაფტების ტრანსფორმაციისა და დინამიკის, ლანდშაფტურ-ეკოლოგირი ანალიზი გეოგრაფიული რუკებისა და ატლასების შედგენა და სხვ.

**ინსტიტუტის დაარსებისთანავე დიდი ყურადღება დაეთმო ცალკეული ადმინისტრაციული რაიონების ფიზიკურ-გეოგრაფიულ და ეკონომიკურ-გეოგრაფიულ კვლევებს და შესაბამისი რუკების შედგენას. XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ინსტიტუტში კვლევა რეგიონული გამოკვლევების განზოგადებისა და კონსტრუქციულ-გეოგრაფიული პრობლემების წინა პლანზე წამოწევას დაეთმო. მთავარი ყურადღება გადატანილ იქნა ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთობის საკითხებზე.**

**XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი თემატიკა უფრო მეტად გაფართოვდა. უმთავრესი ყურადღება დაეთმო მთიანი მხარეების გეოგრაფიული კანონზომიერებების კვლევას. ამ თვალსაზრისით შესრულებულმა ნამუშევრებმა ინსტიტუტს დამსახურებული ავტორიტეტი მოუპოვა და იგი ყოფილ საბჭოთა კავშირში მთიანი ქვეყნების გეოგრაფიული პრობლემების კვლევის მოთავე სამეცნიერო დაწესებულებად აღიარეს. გეოგრაფიის ინსტიტუტის საერთაშორისო ავტორიტეტს ადასტურებს ისიც, რომ ამ პერიოდში საქართველოში ჩატარდა არაერთი საკავშირო თუ საერთაშორისო კონფერენცია, ყრილობა, კონგრესი და სიმპოზიუმი. თვალსაჩინო მეცნიერი აკადემიკოსი ი. გერასიმოვი აღნიშნავდა: „გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში შეიქმნა თანამედროვე გეოგრაფიული მეცნიერების ერთ-ერთი უძლიერესი სკოლა“.**

ინსტიტუტში დაიწყო საქართველოს კლიმატის ძირითადი მახასიათებლების (ჰაერის ტემპერატურული რეჟიმი, ატმოსფერული ნალექები) შესწავლა. მეტად მნიშვნელოვანი იყო მ. კორძახიას მონოგრაფია „საქართველოს ჰავა“. 60-იანი წლებიდან ინსტიტუტს და კლიმატოლოგიურ კვლევებს სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი მეცნიერი, კლიმატოლოგი, აკადემიკოსი თეოფანე დავითაია, რომელმაც ფრიად თვალსაჩინო გამოკვლევები ჩაატარა კლიმატური რესურსების შესწავლისთვის. ინსტიტუტში დამუშავებული გარემოს გაჭუჭყიანებაზე დაკვირვების დისტანციური მეთოდი, წარმატებით გამოიყენებოდა კოსმოსური სივრცის კვლევისას. მნიშვნელოვანი ნაშრომები შეიქმნა აგროკლიმატოლოგიასა (თ. დავითაია, გ. გაგუა, და სხვ.) და ზოგად კლიმატოლოგიაში (თ. დავითაია, დ. მუმლაძე და სხვ.).

შეიქმნა აგრეთვე ბუნებრივი პროცესების მოდელირების ლაბორატორია (ხელმძღვანელი ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი, პროფ. კ. თავართქილაძე). იგი სამუშაოებს ასრულებდა როგორც ხმელეთის, ისე ზღვისზედა ატმოსფეროში.

გამოიცა ყოფილი საბჭოთა კავშირის აგროკლიმატური რესურსების რუკა, რომელმაც სრულიად განსაზღვრა ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელი ტერიტორიის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების პოტენციური შესაძლებლობები.



თეოფანე დავითაია

თეოფანე დავითაია რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა კუბის მეცნიერებათა აკადემიაში და ხელმძღვანელობდა საბჭოთა მეცნიერ-კონსულტანტთა დიდ ჯგუფს, რომელშიც გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლებიც იყვნენ. კუბის ატლასის შედგენისათვის თ. დავითაიას, სხვა საბჭოთა და კუბელ გეოგრაფებთან ერთად, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა (1973).

დიდი წვლილი მიუძღვის თ. დავითაიას აგრეთვე კუბის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის დაარსებაში.

ჰიდროლოგიურ გამოკვლევებს გეოგრაფიის ინსტიტუტში შექმნისთანავე ჩაეყარა საფუძველი. შესრულდა საქართველოს ლანდშაფტურ-ჰიდროლოგიური დარაიონება. შეიქმნა საქართველოს მდინარეთა გენეტიკური კლასიფიკაცია, შესრულდა შავი და აზოვის ზღვების სანაპიროების, მდინარეების, ტბებისა და ლიმანების აღწერილობა (ი. შაქარიშვილი, ლ. ვლადიმიროვი, ი. აფხაზავა, გ. გიგინეიშვილი და სხვ.). 1980-იანი წლების ბოლოს დაიწყო კავკასიის წყლის რესურსებისა და ბალანსის კვლევა (ვ. გელაძე, დ. შაქარიშვილი, ა. ჯავახიშვილი).

გლაციოლოგიური კვლევები გეოგრაფიის ინსტიტუტში 30-იანი წლებიდან დაიწყო კავკასიონის ძველი და თანამედროვე მყინვარების შესწავლით (ლ. მარუაშვილი, დ. წერეთელი, რ. ხაზარაძე, რ. გობეჯიშვილი, რ. შენგელია). შესწავლილია კავკასიონის მრავალი მყინვარი. კავკასიონის მყინვარული ჩამონადენის რუკები შესულია მსოფლიოს თოვლ-ყინულოვანი რესურსების ატლასში.

**გეოგრაფიის ინსტიტუტში 1972 წელს შეიქმნა შავი ზღვის სანაპირო ზონის ლაბორატორია (ხელმძღვანელები ა. კიკნაძე, 1972-2002, ვ. ზენკოვიჩი, 1975), შესწავლილ იქნა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს დეგრადირებული უბნები, ნაპირების დასაცავად შემუშავებული ახალი მეთოდებით წალეკვას გადაურჩა საქართველოს შავი ზღვისპირეთის პლაჟების დიდი ნაწილი.**

მნიშვნელოვანი გამოკლევები ჩატარდა გეომორფოლოგიური მიმართულებით, საქართველოს რელიეფი პირველად აღწერა ა. ჯავახიშვილმა (1926). 1947 წელს მან გამოაქვეყნა მონოგრაფია „საქართველოს სსრ გეომორფოლოგიური რაიონები“. ზოგადგეოგრაფიულ პრობლემათა კვლევა საქართველოს რთული რელიეფის პირობებში შეჯამდა კოლექტიურ მონოგრაფიაში „საქართველოს გეომორფოლოგია“ (ლ. მარუაშვილი, ნ. ასტახოვი, დ. წერეთელი, გ. მაისურაძე, ზ. ტატაშიძე, ს. ნემანიშვილი, დ. ტაბიძე, რ.გობეჯიშვილი, ე.წერეთელი და სხვ.), მიენიჭა საკავშირო გეოგრაფიული საზოგადოების ნ. პრჟევალსკის სახელობის ოქროს მედალი ძირითად ავტორს და სამეცნიერო რედაქტორს პროფ., ლ. მარუაშვილს (1972).

1958 წელს კარსტოლოგიისა და სპელეოლოგიის ლაბორატორიის დაარსების შემდეგ ფართოდ გაიშალა მუშაობა კარსტოლოგიაში – დამუშავდა საქართველოს კარსტის ტიპოლოგია, მორფოლოგია და კვლევის ისტორია (ლ. მარუაშვილი, ზ. ტატაშიძე, ზ. გერგედავა, კ. წიქარიშვილი და სხვ.) საფუძველი ჩაეყარა კარსტული მღვიმეების სისტემატურ და გეგმაზომიერ კვლევას, რითაც საქართველოში 1300-ზე მეტი კარსტული მღვიმე-უფსკრულების აღრიცხვა და ნაწილობრივ გამოკვლევა მოხერხდა (შ. ყიფიანი, თ. კიკნაძე, ზ. ტატაშიძე, კ. წიქარიშვილი და სხვ.).



ზურაბ ტატაშიძე

1961 წელს დოც. შ. ყიფიანის, პროფ. ზ. ტატაშიძის, ა. ოქროჯანაშვილის, ჯ. ჯიშკარიანის, ბ. გერგედავას და სხვ. უდიდესი დამსახურებაა ახალი ათონის მღვიმური სისტემის აღმოჩენა და შესწავლა, რაც სსრკ სახელმწიფო პრემიით აღინიშნა (1977). მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე 1984 წელს წყალტუბოს (ყუმისთავის) მღვიმური სისტემის აღმოჩენა (ჯ. ჯიშკარიანი, თ. ქობულაშვილი, ა. ჯამრიშვილი, ვ. კაპანაძე).გეოგრაფიის ინსტიტუტის ბაზაზე ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველად თბილისში ჩატარდა სპელეოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმი (1987).

საქართველოს და მისი რეგიონების ფიზიკურ-გეოგრაფიული შესწავლა გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან დაიწყო (ა. ჯავახიშვილი, ლ. მარუაშვილი, დ. უკლება, ქ. ყავრიშვილი, ე. სოხაძე და სხვ.). საქართველოს როგორც ბუნებრივი (აღდგენილი) ასევე ადამიანისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულებით შექმნილ ლანდშაფტებს მიეძღვნა პროფ. დ. უკლებას არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი, რისთვისაც მას მიენიჭა ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემია. გამოქვეყნდა საქართველოს და ამიერკავკასიის ლანდშაფტური რუკები (1970, 1983).

ბოტანიკურ-გეოგრაფიულად შესწავლილია საქართველოს მთელი რიგი რეგიონი (ე. სოხაძე), გამოქვეყნდა მონოგრაფიები. მნიშვნელოვანი ნაშრომები შესრულდა ნიადაგების გეოგრაფიაში მათ ავტორს ე. ნაკაიძეს მიენიჭა აკადემიკოს ვ. უილიამსის სახ. პრემია (1979). განხორციელდა კვლევები სამედიცინო გეოგრაფიის დარგში (ნ. სულხანიშვილი) და სხვ.

ინსტიტუტში დიდი ყურადღება ეთმობოდა საქართველოს მეურნეობისა და მოსახლეობის შესწავლას (გ. გეხტმანი, ლ. კარბელაშვილი, გ. გველესიანი, ვ. ჯაოშვილი, ე. კობახიძე, ვ. ნეიძე, მ. ბოკერია, მ. შენგელაია, ჟ. ზონენაშვილი, ლ. ხუხუნაიშვილი და სხვ.). შემუშავდა და მეცნიერულად დასაბუთდა საქართველოს ეკონომიკური დარაიონების სქემა; საქართველოს ტერიოტორიის რეკრეაციული დარაიონების სქემა და სხვ.

მნიშვნელოვანი კვლევებია შესრულებული ისტორიულ გეოგრაფიასა და ტოპონიმიკაში, რომელსაც მიეძღვნა რამდენიმე მონოგრაფია (კ. ხარაძე).

**გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა 1982 წელს მონაწილეობა მიიღეს „საქართველოს წითელი წიგნის“ სრულიად ახალი განყოფილების (მსოფლიო მასშტაბით) „არაორგანული ბუნების ძეგლების“ შექმნაში.**



რამინ გობეჯიშვილი

კარტოგრაფიული სამუშაოები ინსტიტუტში მიმართული იყო მეურნეობის კონკრეტულ საჭიროებებთან, შეიქმნა სხვადასხვა მასშტაბის სასწავლო სამეცნიერო რუკები, მრავალი სპეციალური შინაარსის რუკა (ალ. ჯავახიშვილი, ს. ცხაკაია, ი. მათურელი, ი. პავლიაშვილი, ზ. ზონდირევა, ე.ზაუტაშვილი, მ. გაგუა, ნ. გამცემლიძე, ი. კოროშინაძე, მ. ხაზაზიშვილი, თ. ცხაკაია-გაგუა, გ. ლიპარტელიანი და სხვ.). დამუშავდა და გაფორმდა „საქართველოს სსრ ატლასი“ (1964), „საქართველოს ეროვნული ატლასი“ ქართულ (2012) და ინგლისურ ენებზე (2018, „National Atlas of Georgia“, გამომცემლობა Steiner verlag-ი), რომელიც 2018 წელს ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე გამოიფინა, ,,საქართველოს გეოგრაფიული ატლასი“ (2018) და სხვ.

პირველად გეოგრაფიის ინსტიტუტში ქვეყნის ეროვნული და საცნობარო ატლასების შედგენის შემდეგ, დაიწყო მუშაობა საქართველოს რეგიონების ატლასების შექმნისთვის სერიის სახით, მიმდინარე წელს დასრულდა და მალე გამოქვეყნდება კახეთის რეგიონის კომპლექსური ატლასი (კონცეფციის ავტორი გ. ლიპარტელიანი).

ინსტიტუტი დაარსებიდანვე გამოსცემს თემატურ რუკებსა და ატლასებს, მათგან აღსანიშნავია: საქართველოს სსრ ატლასი (ქართულ და რუსულ ენებზე), საქართველოს სსრ კურორტებისა და საკურორტო რესურსების ატლასი (ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე), საქართველოს სასწავლო „გეოგრაფიული ატლასი (1992), ვახუშტი ბაგრატიონის ატლასი (1997), საქართველოს ეროვნული ატლასი (ქართულ და ინგლისურ ენებზე, 2012, 2018), საქართველოს გეოგრაფიული ატლასი (2018). ინსტიტუტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ კუბის ატლასის, მსოფლიოს თოვლ-მყინვარული რესურსებისა და მთვარის პოლარიმეტრული ატლასის შედგენაში.



ნანა ბოლაშვილი

ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ გამოიცა მრავალი მეცნიერული ნაშრომი, როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში. მომზადდა სახელმძღვანელოები საშუალო და უმაღლესი სკოლებისათვის. ინსტიტუტის თანამშრომლები კითხულობენ ლექციებს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, ინსტიტუტი დახმარებას უწევს საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლებს, სკოლის მოსწავლეებს უტარებენ პოპულარული ხასიათის ლექციებს, მონაწილეობენ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, ვორქშოფებსა და სიმპოზიუმებში, არიან საერთაშორისო კომისიებისა და საბჭოების წევრები.

გეოგრაფიის ინსტიტუტი 2021 წლიდან გამოსცემს ინგლისურენოვან საერთაშორისო „საქართველოს გეოგრაფიულ ჟურნალის“ („Georgian Gegraphical Journal“).

**ბოლო წლების განმავლობაში გეოგრაფიის ინსტიტუტმა მრავალი სამეცნიერო საგრანტო პროექტი მოიპოვა, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო. მნიშვნელოვანია ის, რომ ღვაწლმოსილ მეცნიერებთან ერთად მუშაობენ ახალგაზრდა პერსპექტიული მეცნიერები, რომლებიც ჩართულნი არიან ინსტიტუტის კვლევით და სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, ისინი სამომავლოდ ღირსეულად გააგრძელებენ წინამორბედ სახელოვან მეცნიერთა საქმეს.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,**

**დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება,**

**ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი.**

# გამოჩენილი ნეიროფიზიოლოგი, შესანიშნავი ხელმძღვანელი



## აკადემიკოსი ვახტანგ (ვათა) მოსიძე

**მეცნიერების ფაქტობრივად ყველა დარგში არსებობს მსოფლიოში აღიარებული ეროვნული სკოლები, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყნის სიამაყეს წარმოადგენენ. ამ სკოლების ფუძემდებლები, მათი მოწაფეები და ერთგული თანამიმდევრები მსოფლიო მეცნიერულ ელიტას განეკუთვნებიან. ასეთი სახელოვანი სამეცნიერო სკოლა – თან არაერთი, საქართველოშიცაა!**

**ამ მხრივ, ერთ-ერთი გამორჩეული ფიზიოლოგიის სკოლა გახლავთ, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლის, აკადემიკოს ვახტანგ მოსიძის დაბადებიდან 95-ე წლისთავს საზოგადოება წლეულს აღნიშნავს.**

**ვახტანგ მოსიძე** 1928 წლის 20 სექტემბერს თბილისში, ცნობილი ექიმის, საქართველოში ორთოპედიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, მიხეილ მოსიძის ოჯახში დაიბადა. 1944 წელს თბილისის პირველი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1949 წლამდე, მან სწავლა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში განაგრძო. იყო ჯერ ი. თარხნიშვილის, მერე კი ი. სტალინის სახელობის სტიპენდიატი.

ნიჭიერი სტუდენტის გარჯას საკადრისი დაფასება მოჰყვა: 1949-52 წლებში ვახტანგ მოსიძე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის ორდინატორი გახდა. აკადემიკოს კონსტანტინე ერისთავის ხელმძღვანელობით მან წარმატებით გაიარა ორდინატურის სრული კურსი, რის შემდგომ, მისივე რჩევით, პროფესიულ ასპარეზად მეცნიერება, კერძოდ ფიზიოლოგია აირჩია. 1952 წელს ახალგაზრდა სპეციალისტმა პროფესიული გამოცდა ჩააბარა კომისიას, რომელსაც ქართული ფიზიოლოგიური სკოლის პატრიარქი ივანე ბერიტაშვილი თავმჯდომარეობდა. ასპირანტურის კურსის გასავლელად, მომავალი მეცნიერი, აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის რეკომენდაციით, ქ. ლენინგრადის ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტში, ი. პავლოვის სახელობის ფიზიოლოგიის განყოფილებაში მიავლინეს, სადაც მისი ხელმძღვანელი ცნობილი მეცნიერი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი კალენიკე აბულაძე იყო.

1955 წელს, ასპირანტურის სრული კურსის დამთავრებამდე ექვსი თვით ადრე, ლენინგრადის ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, ვახტანგ მოსიძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „პირობითი და უპირობო რეფლექსები კორძიანი სხეულის გადაკვეთის შემდეგ“. იმავე წელს სამშობლოში დაბრუნებულმა ახალგაზრდა მკვლევარმა მუშაობა დაიწყო ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლად.

მეცნიერის პიროვნებისა და თავისი საქმისადმი თავდადებული პროფესიონალის პორტრეტის უფრო მეტად წარმოსაჩენად, მხოლოდ მისი შრომითი ბიოგრაფიის საფეხურებისა და ნაშრომების მოკლე მიმოხილვა აშკარად არასაკმარისია და ამ მხრივ უდავოდ საგულისხმოა 31 წლის ახალგაზრდა ვახტანგ მოსიძის სარეკომენდაციო დახასიათება, რომელიც პროფესორმა კ. აბულაძემ მას 1959 წელს, უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე გადაყვანასთან დაკავშირებით მისცა: „იგი ბეჯითად, კეთილსინდისიერად და ინტერესით მუშაობს. დავალებულ საქმეს ეკიდება შემოქმედებითად, არკვევს მასთან დაკავშირებულ საკითხებს და წარმატებით წყვეტს მათ. ხანმოკლე სამეცნიერო მუშაობის განმავლობაში, ვ. მოსიძემ მიაგნო თავის ტვინის ქერქის მოქმედების მექანიზმის ზოგიერთ მნიშვნელოვან მხარეს“.

გულმოდგინე, მიზანსწრაფულ შრომას სასურველი შედეგიც მალე მოჰყვა: 1962 წელს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, თემაზე, „თავის ტვინის წყვილადი და განცალკევებული მუშაობის შესახებ“, 34 წლის ვახტანგ მოსიძემ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

ამ ღირსშესანიშნავი მოვლენიდან მოკლე დროში, 1965 წელს, ახლა უკვე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ვახტანგ მოსიძე, აირჩიეს ფიზიოლოგიის ინსტიტუტის პირობითი რეფლექსების ლაბორატორიის ხელმძღვანელად, რომელიც შემდგომ ჰემისფეროთა ურთიერთობის შემსწავლელ ლაბორატორიად გადაკეთდა.

უკვე სოლიდური სამეცნიერო რეპუტაციის მქონე მკვლევარს, 1970 წელს მიენიჭა პროფესორის, 1974 წელს კი საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდებები, ხოლო 1976-ში ი. თარხნიშვილის სახელობის პრემია. 1988 წელს იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. 1991 წლიდან მოყოლებული, 1999 წელს გარდაცვალებამდე, იგი ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორია.

1994 წელს ბატონი ვახტანგი თბილისის საპატიო მოქალაქე გახდა. იმავე წელს, თანამშრომელთა ჯგუფთან ერთად, თავის ტვინის ფუნქციური სიმეტრიისა და ასიმეტრიის შესწავლისადმი მიძღვნილი ნაშრომისთვის მას საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა. 1998 წელს კი, საქართველოს ფიზიოლოგიური მეცნიერების განვითარებაში შეტანილი პირადი სამეცნიერო წვლილისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის იგი ღირსების ორდენით დაჯილდოვდა.

**აკადემიკოს ვახტანგ მოსიძის სამეცნიერო მონაგარს 180 სამეცნიერო ნაშრომი წარმოადგენს, რომელთაგან ექვსი მონოგრაფიაა. მისი შრომები ძირითადად ეძღვნება თანამედროვე ნევროლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას – თავის ტვინის ნახევარსფეროების ურთიერთობის საკითხს. გასული საუკუნის 70-იან წლებში ამ საკითხის კვლევის ერთ-ერთ საკვანძო ცენტრს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი წარმოადგენდა. სწორედ მან დააარსა ინსტიტუტში ჰემისფეროთა ურთიერთობის შემსწავლელი ლაბორატორია, მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა იმ ხანებში (1971, 1975, 1988 წლებში) ამ პრობლემისადმი მიძღვნილი საკავშირო სიმპოზიუმები, ხოლო 1982 წელს – საკავშირო კონფერენცია.**

იგი წლების მანძილზე იყო თავის ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის „იბროს“ (IBRO), ასევე ნიუ იორკის (აშშ) მეცნიერებათა აკადემიის წევრი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ტვინის ჰემისფეროთა ურთიერთობის შემსწავლელი განყოფილების ხელმძღვანელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ტვინის ჰემოსფეროთა ურთიერთობის შემსწავლელი საპრობლემო კომისიის თავმჯდომარე, ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგთა საზოგადოების გამგეობის წევრი.

პირველი დიდი ნაშრომი, ბატონმა ვახტანგმა თავის ტვინის ნახევარსფეროების ფუნქციური კავშირის შესწავლას მიუძღვნა, რომლითაც დასაბამი დაუდო თავის ტვინის ერთიანი, ინტეგრაციული მოქმედების კვლევის ორიგინალურ მიმართულებას. მან პირველმა გაარკვია თავის ტვინის ჰემისფეროთა დამაკავშირებელი სისტემის როლი სენსორული ინფორმაციის მიმოცვლაში, ჰემისფეროთა ურთიერთობის მნიშვნელობა ცხოველების პირობით რეფლექსებსა და ხანმოკლე მეხსიერებაში, თავის ტვინის ნახევარსფეროების სინქრონულ მოქმედებაში, ეპილეფსიური განმუხტვების ჰემისფეროთა შორის გენერალიზაციაში. გარდა ამისა, ყოფილ სსრ კავშირში მან პირველმა მოახდინა ტვინის გაყოფის ოპერაცია და დაადგინა ცხოველებში ჰემისფეროთაშორისი დროებითი კავშირების ჩამოყალიბების შესაძლებლობა.

საგანგებოდ აღსანიშნავია ისიც, რომ აკადემიკოს ვახტანგ მოსიძის ინტერესები არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ცხოველების თავის ტვინის მოქმედების კანონზომიერებათა შესწავლით. წლების განმავლობაში იგი წარმატებით თანამშრომლობდა პრაქტიკული მედიცინის სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტებთან - ნევროლოგებთან, ნეიროქირურგებთან, ფსიქიატრებთან. მის გამოკვლევებს, რომლებიც ჩატარებულია ნერვულ დაავადებათა მქონე ავადმყოფების თავის ტვინის ნახევარსფეროების ფუნქციური ასიმეტრიის თავისებურებათა გარკვევის მიზნით, თეორიული მნიშვნელობის გარდა, დიდი პრაქტიკული ღირებულებაც აქვს. ხანგრძლივი დროის განმავლობაში იგი ნაყოფიერად თანამშრომლობდა მსოფლიოში ისეთ ცნობილ მეცნიერებთან, როგორებიც არიან ამერიკელი მკვლევარები - ნობელის პრემიის ლაურეატი, კალიფორნიელი როჯერ სპერი, რონალდ მაიერსი (ვაშინგტონი) და რობერტ დოტი (ნიუ-იორკი), პოლონელი ეჟი კონორსკი, სხვები.

მეცნიერულმა ალღომ, ექსპერიმენტის ორიგინალურად დაყენებისა და წარმართვის უნარმა, უზადო ქირურგიულმა ტექნიკამ, ახალი მეთოდებისა და მიდგომების შემუშავებამ და წარმატებით გამოყენებამ, დიდ შრომისმოყვარეობასთან ერთად, ბატონ ვახტანგ მოსიძეს საშუალება მისცა აღმოეჩინა მრავალი მეცნიერული ფაქტი, რომელთა საფუძველზეც გამოითქვა არაერთი ორიგინალური მოსაზრება თავის ტვინის, როგორც მთლიანი ერთეულის ფუნქციონირების, ისე ცალ-ცალკე ჰემოსფეროთა მოქმედების თაობაზე.

აკადემიკოსი ვახტანგ მოსიძე მრავალმხრივ სამეცნიერო ინტერესებსა და მათ საფუძვლიან შესწავლას, ჩინებულად უხამებდა თავის უზადო შემოქმედებით ნიჭს. იგი პოეზიისა და მუსიკის დიდი ტრფიალი გახლდათ – თავადაც უკრავდა რამდენიმე ინსტრუმენტზე. ერთი სიტყვით, ამაშიც თავისი თაობის გამორჩეული, ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1991 წელს პროფესორი ვახტანგ მოსიძე საქართველოში ფიზიოლოგიის ფლაგმანის, დიდი ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი გახდა, რომლის კედლებში წარმატებული სამეცნიერო კარიერის ყველა საფეხური გაიარა. ჩვენი ისტორიის ამ მონაკვეთზე, ცნობილი მიზეზების გამო, უმძიმესი ეკონომიკური და სოციალური ვითარება სუფევდა. ამდენად, ასეთი სახელგანთქმული სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციის სათავეში ჩადგომა ბატონი ვახტანგის პროფესიისა და, ზოგადად, საქმისადმი უაღრესად პასუხისმგებლიანი დამოკიდებულების გამოხატულება იყო. მისი უდიდესი ძალისხმევით მოხდა ინსტიტუტის სამეცნიერო პოტენციალისა და სტრუქტურული ერთეულების შენარჩუნება. ის თითოეული მეცნიერისა თუ რიგითი თანამშრომლის ბედსა და მომავალზე ფიქრობდა. თავად კაცთმოყვარე და მოსიყვარულე ადამიანის დიდი სურვილი იყო, რომ ინსტიტუტის თითოეული თანამშრომელი ერთმანეთთან არამარტო პროფესიით დაკავშირებული, არამედ მოსიყვარულე მეგობრებიც ყოფილიყვნენ.

**აკადემიკოს ვახტანგ მოსიძის გარდაცვალებიდან აგერ უკვე თითქმის მეოთხედი საუკუნე გავიდა და ამ არცთუ მცირე დროის განმავლობაში, თავისი მეცნიერული ნაღვაწი კვლავაც აქტუალური რჩება, ახლობლებისა და ერთგული კოლეგების სიყვარულსა და სითბოს კი მეტი მონატრება ახლავს.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,**
**ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი.**



# „რქაწითლის მტევანსა“ და სხვაზე

## ეპისტოლური ესეი

**უცხო სიტყვათა ლექსიკონი ტერმინ „ინტელექტუალს“ შემდეგნაირად განმარტავს: „გონებრივად მრავალმხრივ განვითარებული ადამიანი, რომელიც კარგად ერკვევა ლიტერატურაში, ხელოვნებაში (ზოგჯერ ახლავს ირონიული ელფერი)“.**

**ვინც კარგად ერკვევაო! მარტივად, ვინც კარგი ნაკითხიაო.**

**რაგინდ ინტენსიურად იკითხო და იზუთხო სხვათა ქმნილებები, ვერც „დონ კიხოტს“ დაწერ, ვერც „ტრავიატას“ და ვერც „მოსეს“ გამოაქანდაკებ!**

**ჯერ ერთი, რატომ ვუუწროებთ არეალს ამ ჩამონათვალს?! რა, ამასთან ერთად, ვინც კარგად ერკვევა ისტორიაში, რელიგიაში, საბუნებისმეტყველო დარგებში, კოსმოლოგიაში და ა. შ., ინტელექტუალი ვეღარ იქნება?!**

**ისევ და ისევ, ვინც კარგად ნაკითხიაო!**

* * *

ჩემი ასაკის პატრონს, რა აღარ მსმენია ბავშვობიდან მოყოლებული! ჩვენში (ანუ იმერეთში) იტყვიან: მიჯინებულმა კითხვამ გამოჩერჩეტება იცისო! სულმნათი აკაკიც ხომ იგივეს ბრძანებს: „აგრე იცის მიჯინებულმა კითხვამ! თავბრუს ასხამს კაცს!“

ეტყობა, ასე დამართვია იმ ინტელექტუალ სუბიექტსაც (ლევან ბერძენიშვილს ვგულისხმობ), რომელსაც, სწორად კი წამოსდცენია, ნიკოლოზ ბარათაშვილი გენიოსი პოეტიაო, მაგრამ, ეტყობა, ყველა მისი შედევრი არ წაუკითხავს (მე შენ გეტყვი და, ტომებს მოიცავს!), თორემ, წამკითხველი, რანაირად შერაცხავდა მეფე ერეკლეს სამშობლოს მოღალატედ! („...რომ დღეს იქნება თუ ხვალ იქნება, ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფობა“-ო, ვეჟო, გაიგე?! რომ აღარაფერი ვთქვათ „საფლავი მეფის ირაკლისა“-ზე!

პატარა კახის მადლით ხარ დღეს შენ ეთნიკური ქართველი, თორემ, სხვა გზა არ ჩანდა: ან სპარსი გახდებოდი, ან – თურქი.

ეს ისე, სხვათა შორის! რა ვქნა, ისე მოხდენილად ამთავრებს ხოლმე საავტორო გადაცემა “ჰოპლა“-ში ზურა ყიფშიძე თავის მონოლოგს, რომ პლაგიატობას ვაღიარებ.

რაში დამჭირდა ახლა ეს ამსიგრძე პროლოგი, როცა წერილის შეკოწიწებას ვაპირებ ცნობილ მწერალსა და მეგობარზე, **ემზარ კვიტაიშვილზე!**

რაო, რაო, რა ბრძანე, იმანო? კვიტაიშვილი პოეტი გახლავს, მწერალი კი არაო?!

ვაი ჩემ თავს და უი – მკითხველისასაც! ეს მინდოდა კიდევ მე?!

მისმინე, იმანო! მწერალია ყველა, პოეტი იქნება, პროზაიკოსი, დრამატურგი, ესეისტი თუ ლიტერატურის კრიტიკოსი! არსებობს (ვაი ასეთ არსებობას!) „მწერალთა კავშირი“ და არა – „პოეტთა, პროზაიკოსთა, დრამატურგთა, ლიტერატურის კრიტიკოსთა და ა. შ. კავშირი“!

ო, ენავ ჩვენო, დედაო ენავ!

მკითხველზე უმალ, ემზარს მოვუხდი ბოდიშს, რომ, ცოტა არ იყოს, ბილიკიდან გადავუხვიე (გზაზე ჯერაც არ შევმდგარვარ), მაგრამ, მომეცა საშუალება და რა მექნა!

* * *

**ჩემო ემზარ, ასაკით ოდნავ უმცროსო (აქ ზოგიერთი პროვინციალი „უმრწემესს“ ჩააკვეხებდა!),ხოლო, შემოქმედებით, ბარეორზე წინ მდგომო ძმაო! რა ხანია, თვალყურს ვადევნებ ჩვენი მშობლიური გაზეთის – „ლიტერატურული საქართველოს“ – ყოველ ახალ ნომერს, რათა წაუკითხავი არ გამომრჩეს შენი მორიგი პუბლიკაცია წიგნიდან – „რქაწითლის მტევანი“.**

წინდაწინვე მითქვამს: ეს არ არის მწერლის მორიგი, ორდინარული წიგნი. მყოფნის სითამამე და ვამბობ: ეს დიდი წიგნია! დიდია იმიტომ, რომ, როგორც ყოველი ჭეშმარიტი სიახლე, თანამედროვე ქართულ მწერლობაში განცალკევებულად გამოიყურება: არც არავისას ჰგავს და ვერც ვერავინ დაიმგვანებს!

აი, რა არის, მაგალითად, 2010 წლის 30 აპრილით დათარიღებული შენი ტექსტი – „ჰაერში“?! („ლიტერატურული საქართველო“, 2023 წლის 31 მარტი): ჩანახატი, ნოველა, ესკიზი თუ ფილოსოფიური ეტიუდი?

ჩემი აზრით, ცალკე აღებულად, – არც ერთი! ყველა ერთად, – ეს შენა ხარ, ანუ შენი ავტოპორტრეტია!

თუმცა, არის კიდევ ერთი, უთუოდ გასათვალისწინებელი გარემოება, რომელიც უფრო სრულყოფილს ხდის შენს პორტრეტს.

აი, რა მაქვს მხედველობაში: ყველაფრის დეფიციტს აიტანს მეტ-ნაკლები ნებისყოფის ადამიანი, მაგრამ, დღეს რომ დროის უსაშველო დეფიციტი გვხრავს და გვინელებს, ასეთი რამ თვით ფანტასტ მწერლებსაც კი არ დასიზმრებიათ!

სიტყვამ მოიტანა და, ერთი სული მაქვს, მკითხველს ღიმილი მოვგვარო.

ამ ორიოდე თვის წინათ, გადავწყვიტე, ბავშვის დაბადების დღე მცირერიცხოვანი პიკნიკით აღგვენიშნა წავკისს. მოვიპატიჟეთ ბავშვის ნათლიაც, სამოციოდე წლის მეცნიერ-მუშაკი კაცი.

როდის აპირებთ? აჰ-აჰ, 15 ივნისს ძალიან გაჭედილში ვარ, საძრაობა არა მაქვს (იმერელია ჩემსავით), 17-ში რო იყოს, რა უჭირს? თან, შაბათია. კაი, აგრე ვქნათ-მეთქი. მაშ, მოვდივარ შაბათს, სამის თხუთმეტი წუთიდან ხუთის ნახევრამდე, მეტი „ფანჯარა“ არა მაქვსო. ეგ დრო გზას დასჭირდება იქით-აქეთ-მეთქი! მერე რა, მოვალ, ასდოლარიანს ჩავუჯიბავ, ვაკოცებ და წამოვალო. მაგდენ ხლაფორთს, ბარემ ანგარიშზე გადმოურიცხე! ოო, გენიოსი ხარ, მასე ვიზამო.

მივუბრუნდეთ 19 წლის წინანდელ შენს ჩანაწერს – „ჰაერში“.

მთელი დღის განმავლობაში ფეხით მოსიარულემ (მაშინ მხოლოდ 74 წლისა იყავი და ჯერ კიდევ მოგდევდა ჯანი), მანქანა არც არასოდეს გყოლია, წიგნების მაღაზიებშემოვლილმა და კულტურის სამინისტროდან ახალგამოსულმა, საჯარო ბიბლიოთეკის შესასვლელთან, გრძელ სკამზე ჩამომჯდარმა, მწვანედ შებუმბლული ხის შტამბზე, ქვემოდან ზემოთ გულდაგულ მოძრავი პაწია მწვანე მატლი რომ მოგხვდა თვალში, როგორ მოგნუსხა ამ სანახაობამ.

ვშიშობ, მკითხველს გული არ ავუცრუო და კითხვას საერთოდ არ შეეშვას. ამიტომ, დროა, ერთხანს, შენ თავად განაგრძო თხრობა: „ნელა, მაგრამ ჯიუტად მიიწევდა მაღლა-მაღლა. გამიკვირდა, რაზე ჰკიდია-მეთქი და უწვრილესი შავი ძაფი შევამჩნიე, წერტილისოდენა მოღებულ პირში რომ ედო და იმ ძაფს, ხის ტოტზე დამაგრებულს (მანამდე, ალბათ, მისი პირიდანვე გამოწელილს, ძირს როდესაც ეშვებოდა), უკან მიჰყვებოდა. მზის სინათლე რომ არა, იმ მამოძრავებელ ძაფს ვერც გავარჩევდი.

ადამიანებს ჰგონიათ, მათ გარდა, გონება არაფერს გააჩნია და, როცა სამყაროს პაწაწინა არსებებზე მსჯელობენ, ყველაფერი ინსტინქტამდე დაჰყავთ. მე რასაც ვუმზერდი, აშკარად საზრიანი ქმედება იყო, გარკვეული მიზნისკენ მიმართული. თუმცა, ის მატლი თვალით ძლივს ჩანდა.

ობობა რომ ხლართავს ბუზის დასაბმელად, თავისივე მუცლიდან ამოხვეულ ძაფს, ეტყობა, ისეთივე ძაფად გადასაქცევი მასალა აქვს მოგროვილი ნამცეცა მწვანე მატლსაც და იმაზე კონწიალობს - კენწეროდან ჩამოისეირნა და მერე, მოშიებული, ზემოთ მიიწევდა, რათა ახალგაშლილი ნორჩი ფოთოლი ეგემნა, - მოეციცქნა თავისი ერთადერთი საზრდო. რა ქნას, ბუნებას ასე გაუჩენია.

საკმარისი იქნებოდა, ის ერთადერთი, მარჩენალ ხესთან დამაკავშირებელი ძაფი გამეწყვიტა და მის აღსასრულს დავაჩქარებდი. ასეთ რაღაცას ფიქრშიაც ვერ გავივლებდი, როგორ ვიკადრებდი ამგვარ უგვან საქციელს, მწერებისა და ჭიაღუების შემბრალე ქომაგი?!

ამ სტრიქონების ავტორს ჩემზე უკეთ მოეხსენება, რომ, თუ შენმა ნაკალმარმა მკითხველს ვერაფერი გაახსენა პირადი თუ საზოგადოებრივი ცხოვრებიდან, მაშინ ამაოდ გარჯილხარ!

მაგალითისთვის, შეუძლებელია, ამ მონათხრობმა დიდი ვაჟა-ფშაველა არ გაგახსენოს: „ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ, მარტოდ ჩვენ გვზრდიან დედანი“...

ხოლო, იმ დრამატულ შედეგს, რასაც გამოიწვევდა მარჩენალ ხესთან დამაკავშირებელი ძაფის გაწყვეტა, ზუსტად ეხმიანება შექსპირის სიტყვებ იმის შესახებ, რომ ნამცეცა მწერი, გასრესისას, ისევე გმინავს და იტანჯება, როგორც გიგანტი – წამებით სულის ამოხდომისასო.

თავის კატუნით რომ კატონი ვერავინ გახდება, უდავოა, მაგრამ, არც ის მსურს, ფუყე თავთავივით გამოვიყურებოდე და იმდენად ავმჩატდე, რომ მკითხველსა და, მით უმეტეს, ლიტერატორებს, მენტორის ტონით ვმოძღვრავდე.

ჩემი მოკრძალებული მწერლური პრაქტიკა ნამდვილად არ მაძლევს ამის შესაძლებლობას; თუმცა, არც ისე დაბრმავებული ვარ, თეთრი შავისგან ვერ გავარჩიო!

ემზარი მიკროარსებათა სამყაროს კიდევ რამდენიმეჯერ „სტუმრობს“.

„ლიტერატურული საქართველოს“ 19 მაისის ნომერში რამდენიმე ჩანაწერია გამოქვეყნებული საერთო სათაურით – „მოყინული კალიის ამბავი“.

მართლაც რომ სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ეს გახლავთ გულის შემზარავი მონათხრობი მწვანე, უწყინარ კალიაზე, რომელიც მას თავისი სახლის აივანზე მოხვედრია თვალში 2014 წლის ზამთარში.

შესავალში ავტორი წერს: ,,ნაირნაირი მწერები მუდამ იქცევდა ჩემს ყურადღებას. გაოცდები კაცი, რამდენად ძლიერია სიცოცხლის ჟინი ღვთის გაჩენილ არსებებში. გვიანი შემოდგომით, ჩვენს ღია აივანზე დავინახე გაქვავებული კალია, ლამაზი იყო და გადასაგდებად ვერ გავიმეტე, რადგან საამქვეყნო პირი არ უჩანდა.

...ორი დღის შემდეგ გაირკვა, რომ შევმცდარვარ: მწერი გატოკდა, ფეხები გაარხია. ამან მაიძულა, აზრი შემეცვალა“.

მოკლედ, ოთხი ჩანაწერით იწყება და მთავრდება ეს „ეპოპეა“. ვის გვარს არ შეხვდებით მასში: ცნობილ ფრანგ ენტომოლოგს, ჟან ანრი ფაბრსა თუ ჟან კოქტოს, გამოჩენილ ინგლისელ ლირიკოსს, ჯონ კიტსს, რომელსაც, თურმე, ღუმელთან ჩაბუდებულ ჭრიჭინაზე შედევრი დაუწერია; ასევე, ცნობილ გერმანელ ზოოლოგს, ალფრედ ბრემსა და დიდ ასკეტს, წმინდა ფრანჩესკო ასიზელს, რომელსაც განსაკუთრებული სიბრალული და სიყვარული ჰქონია მწერების, ფრინველებისა და ცხოველებისა.

მკითხველს რომ მცდარი შთაბეჭდილება არ შეექნას და არ ეგონოს, რომ „რქაწითლის მტევანში“ მხოლოდ მწერებსა და კალიებზეა საუბარი, – რაღა თქმა უნდა, – არა! მწერალი ემზარ კვიტაიშვილი, რატომღაც მგონია, ძილშიც კი, თავის გამოჩენილ კოლეგებსა და, ზოგადად, ლიტერატურაზე ფიქრობს.

რად ღირს, თუნდაც, „ლამაზი ბიჭი – სერგეი ესენინი“-ს შესახებ მისი ჩანაწერი, „ისევ რითმის გარშემო“, რომელიც დათარიღებულია 2017 წლის 9 სექტემბრით.

ჩანაწერში ავტორი გვესაუბრება, მისივე სიტყვებით, „ღრმად განათლებული ლიტერატორის, გენადი სმოლინის წიგნზე “სერგეი ესენინის ჯვარცმის გზა“.

ამავე თემაზე (ისევ რითმის გარშემო), იგი საინტერესოდ გადმოგვცემს გულაგის ჯურღმულებგამოვლილი, გამოჩენილი რუსი მწერლის, ვარლამ შალამოვის შეხედულებებზე, ზოგადად, ლიტერატურაზე.

ბუნებრივია, ემზარი ყურადღების გარეშე არ ტოვებს დიდ ქართველ მწერლებს: გალაკტიონს, გრიგოლ და ირაკლი აბაშიძეებს, ოთარ ჭილაძეს, ჭაბუა ამირეჯიბს, ნოდარ დუმბაძეს, რეზო ჭეიშვილს და სხვებს, რომელთა სახელებითაც ამაყობდა და თავს იწონებდა, არა მარტო ძირითადი სამშობლოს, არამედ – მთელი საბჭოური ელიტა.

საინტერესოდ იგონებს ავტორი თბილისის ჭეშმარიტ კოლორიტს, მწერლობის უზომოდ მოყვარულ გურამ (კოია) გომართელს.

ჩემო ემზარ, ჩემი სტუდენტობისას, ერთხელ, დაუვიწყარმა ნოდარ ჩხეიძემ გვიამბო სახალისო ეპიზოდი ლევ ნიკოლაევიჩის ცხოვრებიდან. თურმე, ერთმა დამწყებმა ლიტერატორმა ბრტყელ-ბრტყელი ეპითეტებით შეუქო რომელიღაც ნაწარმოები, ჭეშმარიტი დიდოსტატი ბრძანდებითო, რაზეც ტოლსტოიმ მთელი სერიოზულობით მიუგო: ჩემო კეთილო მეგობარო, მე რომ ამ ბოლო დროს ჩემოდნებს ვაკეთებ, რომ გენახათ, ეგ მოთხრობა მათთან რა მოსატანიაო!

ამ ჩემი ოპუსის გაცნობის მერე, შესაძლოა, შენც გეხუმრა: შენ რომ ჩემი ლექსების ახალი ციკლი წაგეკითხა, „რქაწითელიც“ დაიჩრდილებოდაო!

თუმცა, მთლად ზუსტი პარალელი ვერ გამომივიდა: „რქაწითლის მტევანი“-ც და შესანიშნავ ქუთათურ გაზეთ „უქიმერიონი“-ს საახალწლო ნომერში გამოქვეყნებული შენი ახალი ლექსების ციკლიც, ორივე მაგარია, ამ სიტყვის მეტაფორული გაგებით.

ლექსზე და, ზოგადად, პოეზიაზე მსჯელობას თავს ვარიდებ, რადგან იმ ალალი გლეხკაცის ხარხარი მახსენდება, როცა ტერენტი გრანელის ლექსი შევაქე - გაზაფხულის ერთ მშვიდ დილას ჩიტი რომ ერთი ხიდან მეორეზე გადახტა; ხელი ჩამავლო მხარში და ხითხითით მითხრა: აპა, ჩიტს მეტი რა საქმე აქო!

როდესაც შენი ლექსი-შედევრი, „ყველაფერს შეველევი“ წავიკითხე, რომლითაც მთავრდება „უქიმერიონ“-ში გამოქვეყნებული ციკლი, ტიციანის „მეწყერი“-ვით შემძრა და ძმურად გთხოვ, შეელიე სათაურს. ეს ლექსი ივანე მაჩაბელზეა, როგორც სულმნათი აკაკის „განთიადი“ – დიმიტრი ყიფიანზე.

დაარქვი ამ ლექსს „ივანე მაჩაბელი“ და მკითხველი ისევე ამოიცნობს მასში სახელოვან პოეტს, ემზარ კვიტაიშვილს, როგორც სულმნათ აკაკის – „განთიადში“!

### ყველაფერს შეველევი

სად ვიქნები, ვერ შეიტყოს ვერც მზემ
და ვერც მთვარემ,
გამწირველო, შენი საქმე მოითავე ბარემ,
სამარე არ დარჩეს არსად, ისე გამაპარე.

ისე ჰქენი, ერთადერთიც ვერ დავტოვო პწკარი,
ფართოდ მოღიავებული, ჭრიალებდეს კარი,
ცოდვილს, არ მომასწრო მეტად,
რასაც მომასწარი.

ზეწარი არ წამაფარონ, არც ხის ტახტზე ვიდო,
მოტაცება ვერ დაგასწროს — ვერც ლეკმა,
ვერც დიდომ,
გამაქანე და გამაქრე, არც ვყოფილვარ ვითომ.

წრეს მავლებდა გამწარება, მიწყივ წარამარა,
მკლავდა, ვეღარ გაუმკლავდა
თვალმოწკურვა წკვარამს,
ზოგჯერ მეც მწიწკნიდა ეჭვი —
ვიყავი თუ არა!..



**სამაგიეროდ, შენს მკითხველებს გვწამს და გვჯერა, რომ იყავი, ხარ და ყოველთვის იქნები!**

შენი
**გიზო ზარნაძე**




# „შემოდგომის ყვავილებს დიდებასთან მივიტან“...



**კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ძეგლით გამდიდრდა თბილისი გვიანი შემოდგომის მზით გამთბარ დღეებში: 30 ოქტომბერს, მე-20 საუკუნის ჩვენი ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მოქანდაკის, ელგუჯა ამაშუკელის მემორიალი გაიხსნა აზანოთუბნის ულამაზეს მყუდრო სკვერში..**

ელგუჯა ამაშუკელის ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალის გახსნას, რომლის ავტორები არიან შესანიშნავი მოქანდაკე **გენადი ზაქარაია** და საქართველოში საყოველთაოდ აღიარებული არქიტექტორი **ვახტანგ დავითაია,** დედაქალაქის რჩეული საზოგადოების მრავალი წარმომადგენელი დაესწრო. ძეგლის გახსნისას აღინიშნა, რომ ელგუჯა ამაშუკელი ორ ათეულზე მეტი უაღრესად შთამბეჭდავი ძეგლის ავტორია, რომლებიც დღეს ამშვენებენ არა მხოლოდ თბილისს, არამედ ქუთაისს, ფოთს, ბათუმს, გორს.

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ **გიორგი ტყემალაძემ** ხაზი გაუსვა ელგუჯა ამაშუკელის დიდ ღვაწლს სამამულო კულტურის წინაშე, აღნიშნა, რომ მისი შემოქმედება იდეურად გამოხატავს დედაქალაქის ისტორიულ წარსულს და რომ თითოეული თბილისის მოქალაქის წმინდა ვალია მომავალ თაობებს ღირსეულად შემოუნახოს ასეთი ხალხის ნათელი სახელები.

დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს თბილისის ვიცე-მერმა **ანდრია ბასილაიამ,** აკადემიკოსებმა **ვალერი ასათიანმა** და **თამაზ შილაკაძემ,** მოქანდაკე **გია ჯაფარიძემ,** არქიტექტორმა **ვახტანგ დავითაიამ,** მოქანდაკე **გენადი ზაქარაიამ.**

გამოსვლელებმა აღნიშნეს ელგუჯა ამაშუკელის უზადო შემოქმედებითი ნიჭის მრავალმხრივობა: იგი არა მარტო დაუვიწყარ, შთამბეჭდავ, შინაგანი ექსპრესიით აღსავსე ქანდაკებებს ჰქმნიდა, არამედ მათთვის უაღრესად მისადაგებული ადგილების შერჩევის უიშვიათესი ალღოც ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი სიღრმისეულად იცნობდა მსოფლიო ხელოვნებას, ყველა მისი ნამუშევარი, რომ იტყვიან, „თხემით ტერფამდე“ ეროვნული სულისკვეთებითაა გაჯერებული. მისმა არაჩვეულებრივმა კეთილშობილურმა ადამიანურმა თვისებებმა თითქოს მის ნამუშევრებში დაიდეს ბინა, ამასთან, მოქანდაკის საჭრისის გარდა, მას კალამიც სავსებით ემორჩილებოდა – იგი რამდენიმე შესანიშნავი წიგნის ავტორიც გახლდათ.

**– ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ დღეს მადლიერების დღეა,** – თქვა აკადემიკოსმა **ვალერი ასათიანმა**. – **ეროვნულ მეხსიერებაში აღეჭდვა ყველა კაცის, მით უმეტეს, შემოქმედის უდიდესი დაფასებაა. ელგუჯა ამაშუკელი, რომელიც არაერთი სიმბოლოს ავტორია, თავადაც სიმბოლოდ იქცა, იგი ჩვენი სამშობლოს განსახიერებაა და ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი დღეები! ელგუჯა ამაშუკელის ქანდაკება „ქართლის დედა“ თბილისის ისეთივე სიმბოლოა, როგორც დედაქალაქის ჰიმნია კომპოზიტორ რეზო ლაღიძის უკვდავი „თბილისო“.**

მეტად ამაღელვებელი იყო ელგუჯა ამაშუკელის მეუღლის, სახელოვანი პოეტის **ლია სტურუას** გამოსვლა, რომელმაც მადლობა მოახსენა თბილისის საკრებულოს, მერიას და პირადად ყველა იმ პირს, ვინც წლების განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა მემორიალის შექმნის პროექტში, განსაკუთრებით აღნიშნა ძეგლის ავტორთა – მოქანდაკე გენადი ზაქარაიასა და არქიტექტორ ვახტანგ დავითაიას მაღალი პროფესიონალიზმი და უზადო ოსტატობა.

**– მართალია ცოტა გვიან, მაგრამ თბილისში მაინც გაიხსნა ელგუჯა ამაშუკელის ხსოვნის მემორიალი,** – თქვა ექსკლუზიურ ინტერვიუში ძეგლის ერთ-ერთმა ავტორმა, საქართველოს დამსახურებულმა არქიტექტორმა **ვახტანგ დავითაიამ**. – მემორიალის პროექტი საკმაოდ დიდი ხნის წინათ შეიქმნა, მაგრამ, არსებული, უცხოეთიდან, კერძოდ, საფრანგეთიდან მექანიკურად გადმოღებული წესის შესაბამისად, პიროვნების ხსოვნისადმი მიძღვნილი ძეგლის საზოგადოებრივ სივრცეში განთავსება მხოლოდ მისი გარდაცვალებიდან 20 წლის შემდეგ შეიძლება. არადა, ჩემი ღრმა რწმენით, ამდენი ხნის განმავლობაში ნამდვილად დიდი უხერხულობა იყო, რომ ასეთი რანგის მოქანდაკის ღვაწლი, როგორიცაა ელგუჯა ამაშუკელი, ამ მხრივ ჩვენში ჯეროვნად დაფასებული არ ყოფილიყო.

მე მაქვს ხელოვანის შეფასების ერთი ჩემეული კრიტერიუმი. აბა, თუნდაც ერთი წუთით წარმოიდგინეთ, ჩვენი სათაყვანებელი დედაქალაქი ელგუჯა ამაშუკელის ქმნილებების გარეშე: მაშინ, განა როგორი იქნებოდა თბილისის „ქართლის დედის“, „ვახტანგ გორგასლის“, „ნიკო ფიროსმანის“, „ვეფხის და მოყმის“, „დედაენისა“ და სხვა, სრულიად მომნუსხველ ქანდაკებათა გარეშე, როგორ ერთბაშად გახუნდებოდა მისი უზადო მიმზიდველობა და ხასხასა ბრწყინვალება!

**– სასიქადულო მოქანადაკის ელგუჯა ამაშუკელის მემორიალის გახსნა ეროვნული კულტურის დიდ გამარჯვებად, მისი მშვენიერების კიდევ ერთ აღიარებად მიმაჩნია!** – აღნიშნა საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა **თამაზ შილაკაძემ.** – იმედს გამოვთქვამ, რომ კულტურისა და ხელოვნების გამორჩეული წარმომადგენლების საკდრისი პატივისცემის მიგების დიდებული ტრადიცია მომავალშიც გაგრძელდება და ყველა დამსახურებულ პიროვნებას თავისი წილი სითბო და სიყვარული მიეგება!

**ოთარ ტურაბელიძე**

## პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზი

# „ქართული სული“


იანა შირერი

**28 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში ფერწერული ესკიზების გამოფენა, პროექტი „ლურჯი დეკორი“ გაიხსნა.**

პროექტის ავტორები გახლავან იანა შირერი და ნინო გაჩავა.

„ქართული ხალიჩა, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საგანძური“ – ეს არის გამოფენის მთავარი ლაიტმოტივი.

დღევანდელ მსოფლიოში მკვეთრადაა გაზრდილი ინტერესი ხალხური რეწვის, ტრადიციული მეთოდით შექმნილი ნივთების მიმართ. კულტურულ მრავალფეროვნებას ეძებს ყველა.

დღეს საკმაოდ დიდი მოთხოვნაა ტრადიციული მეთოდებით დამზადებულ, ხელნაკეთ ქართულ ხალიჩებზე, ფარდაგებზე, მაგიდის სუფრებზე და ა.შ.

ქართულ ფარდაგს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საგანძურში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია. საოცრად ორიგინალურია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შექმნილი ნიმუშები ფარდაგზე გამოსახული ხატოვანი ორნამენტებით და ფერადოვნებით.

ხალიჩების ხელით ქსოვა ნამდვილად საჭიროებს აღორძინებას, რაც პროექტის ავტორებს აუცილებელ წინაპირობად მიაჩნიათ.

გამოფენის გახსნაზე პროექტის პირველი ნაწილი გახლდათ წარმოდგენილი ესკიზები, რომელთა მიხედვითაც შემდგომში დამზადდება არა მარტო ფარდაგები და გობელენები, არამედ კერამიკის ჭურჭელი, მაგიდის სუფრები, ჩანთები.

ამ პროექტის ყველაზე გულისამაჩუყებელი ფაქტორი ის გახლავთ, რომ მისი ერთ-ერთი ავტორი გერმანელი ქალბატონი იანა შირერია.

იანამ საკუთარი სამშობლო, ოჯახი, კარიერა გვერდით გადადო და პატარა ბუდე საქართველოში შექმნა. ის მეუღლეს, ორთოპედ-ტრავმატოლოგ, სახელგანთქმულ ქირურგს, მედიცინის აკადემიურ დოქტორს გიორგი ჭუმბურიძეს მშობლიურ თბილისში გამოჰყვა.

იანამ მშვენივრად ისწავლა ქართული ენა, შვილებს გერმანული სიმკაცრით და ქართული სითბოთი ზრდის. ეს ყველაფერი არ იკმარა და ქართული ხალხური რეწვის ტრადიციული მეთოდები შეისწავლა. ეს ჰობი საქმედ აქცია და მეგობრები და ქართული ტრადიციული ხელოვნების გულშემატკივარი ადამიანები პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში მიგვიწვია.

ნინო გაჩავასა და იანა შირერის მიერ შექმნილი ესკიზები, მაგიდის სუფრები, ჩანთები საოცრად ერწყმოდა საგამოფენო დარბაზის მომნუსხველ სივრცეს.

გამოფენის გახსნას მრავალი ადამიანი ესწრებოდა და ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ ამ ნამუშევრებში უდიდესი შრომა, ესთეტიკა, გემოვნება და ნამდვილი ქართული სული ჩანს.



წარმატებები ვუსურვოთ ქართულ-გერმანულ ტანდემს ამ ეროვნული საქმის წამოწყებაში.

**რუსუდან ძოზულია**

კოლეგები

# შემოდგომა გაილამაზეს



**საქართველოს სპორტის ჟურნალისტთა ასოციაციამ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან და სპორტის განვითარების ფონდთან პარტნიორობით ამ დღეებში მეოთხედ მოაწყო სახელოვანი მამულიშვილის კოტე მახარაძის ტრადიციული საერთაშორისო მემორიალი აზერბაიჯანელ, სომეხ, ყაზახ, ინდოელ და რუმინელ კოლეგათა მონაწილეობით მინი-ფეხბურთში.**

ხსოვნის ტურნირის ფინალში მასპინძლებმა 4:2 სძლიეს კარპატელებს და პირველად მოიპოვეს მთავარი პრიზი. აღსანიშნავია, რომ საინტერესო ასპარეზობის საუკეთესო მოთამაშედ დამარცხებული გუნდის წევრი მიკუ მიიჩნიეს, ყველაზე მეტი ბურთი კი სიხარულიძემ გაიტანა.

პატივგება

# რაგბისთვის დაბადებული



**საქართველოს რაგბის კავშირის ყოფილი თავკაცი (2008-2016 წლები) გია ნიჟარაძე, როგორც მოგეხსენებათ, 2020 წლიდან „ჩვენი კაცია“ საერთაშორისო სტრუქტურებში და რაგბი ევროპის ვიცე-პრეზიდენტის ამპლუაში ემსახურება სამშობლოსა და სპორტის საყვარელ სახეობას.**

მისი სამაგალითო მოღვაწეობა ამ დღეებში კიდევ ერთხელ დაფასდა ღირსეულად – ბატონი გია ვერნონ პიუს პრემიის ლაურეატი გახდა!

შეგახსენებთ, რომ მისი კარიერა თბილისის დინამოს უკავშირდება, რომელიც მოგვიანებით ივერიასა და ელვას სახელით თამაშობდა.

**ვულოცავთ!**

სერია-ა

# მარადონას საკადრისი

**დიეგოს დაბადების დღეს მარადონას სახელობის სტადიონზე კინაღამ სასწაული მოხდა და მისი შესაძლო ავტორი ხვიჩა კვარაცხელია მილანის მეკარე მენიანის ოსტატობასთან ერთად უიღბლობასაც უნდა უჩიოდეს, ცაციათი გამარჯვების გოლი რომ ვერ გაიტანა.**

სერია-ა-ს მეათე ტური იტალიის ბოლო ორი ჩემპიონატის ტრიუმფატორთა ჯახით დასრულდა ისე, ჭეშმარიტი გულშემატკივარი რომ ინატრებს – 2:2 საგანგაშო პირველი ტაიმისა და 0:2-ის შემდეგ.

როგორც მოგეხსენებათ, კამპანიელებსა და ლომბარდიელებს ერთმანეთთან ძველი ანგარიშები აქვთ ისევე, როგორც მათ თავკაცებს – რომაულ კლუბებში მოღვაწეობიდან მოყოლებული. შორს რომ არ წავიდეთ, ნაპოლისთვის ფეერიული შარშანდელი სეზონის დასახელებაც კმარა, როცა როსონერიმ კალჩოსა და ჩემპიონთა ლიგაში სპალეტის გუნდს ოთხიდან სამი ბრძოლა მოუგო. მართალია, პარტენო პეის ამჯერად გარსია წვრთნის, მაგრამ ამით მის და პიოლის შეგირდთა პრინციპულ მეტოქეობას ბევრი არაფერი მოჰკლებია.



სტუმრებს უჩვეულო მოტივაციაც ჰქონდათ ზედიზედ სამი უგოლო მატჩის სახით, მათ ლიდერ ჟირუს კი – 11(!) მშრალი თამაშის გამო. ალბათ, სიმბოლურიცაა, სწორედ ფრანგმა ვეტერანმა რომ გატეხა ნავსი და დუბლი თავური დარტყმებით შეასრულა. ობიექტურნი თუ ვიქნებით, ისინი მეტსაც იმსახურებდნენ, იმხელა უპირატესობას ფლობდნენ.

შესვენებაზე განხორციელებული ერთბაშად სამი ცვლილებით მასპინძელთა დამრიგებელმა აღიარა სასტარტო შემადგენლობის



შერჩევის დროს დაშვებული შეცდომები, მინდორზე ოსტიგარდის, ოლივერასა და სიმეონეს შეშვებით კი შეხვედრის ხასიათი ძირეულად შეიცვალა. თითქოს ამ მომენტს უცდიდაო, კიდევ უფრო გააქტიურდა ხვიჩა და თანდათან კალაბრიას დამხმარე პარტნიორებთან ერთად სულ უფრო უჭირდა მასთან ღირსეულად გამკლავება.

შედეგად, პოლიტანომ და რასპადორიმ ზღაპრული დარტყმებით ანგარიში გაათანაბრეს – 2:2, მატჩის ბოლოს არშემდგარ დღესასწაულზე კი წერილის შესავალში უკვე ვისაუბრეთ. მთლიანობაში უნდა ვაღიაროთ, რომ კიმის წასვლით ნაპოლის ისედაც არცთუ საიმედო დაცვა კიდევ უფრო ფარღალალა გახდა. დაუმატეთ ამას ლობანოსთან გამოთხოვებაც, აგრეთვე ოსიმენანგისას ტრავმები და მიხვდებით, რომ 7-ქულიანი ჰანდიკაპით დაწინაურებული ინტერისა და სხვა ბობოლების დაწევა სულ უფრო პრობლემატურად გამოიყურება, მორიგ ტურში კი გასვლაა სალერნიტანასთან.

მატჩის შემდეგ ხვიჩა პარიზში გადაფრინდა, სადაც მეუღლესთან ერთად მონაწილეობა მიიღო ოქროს ბურთის ტრადიციულ დაჯილდოებაში. მესხის, მეტრეველის, ხურცილავას, შენგელიას, ჩივაძისა და ყიფიანის შემდეგ იგი მეშვიდე ქართველია, ვისაც ასეთი პატივი ხვდა წილად, გამოკითხვაში კი მე-17 ადგილი დაიკავა და ისეთ კორიფეებს გაუსწრო, როგორებიც, მაგალითად, კეინი და ბელინგემი არიან.

რაც შეეხება ლაურეატს, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ტიტული კარიერაში მერვედ(!) ლეო მესიმ მოიხვეჭა, ვინც გასულ სეზონში არგენტინას მუნდიალი მოაგებინა. გამოკითხვაში მეორე ადგილი ტრიპლის ავტორი საუკეთესო გუნდის სიტის ბომბარდირმა ჰალანდმა დაიკავა, ხოლო მესამე – მსოფლიოს ჩემპიონატის სნაიპერმა მბაპემ.

ლეგიონერი

# სრული სვლით



**იტალიის ჩემპიონატში მეხუთე მატჩი გამართა თორნიკე შენგელიას „ვირტუსმა“. ბოლონიური კლუბი ნეაპოლს ესტუმრა და „ნაპოლი“ 88:75 დაამარცხა.**

ვინაიდან გამარჯვებულის ბედი კითხვის ნიშნის ქვეშ არ დამდგარა, მწვრთნელმა ლუკა ბანკიმ თორნიკე მხოლოდ 16 წუთი ათამაშა. ამ დროში მან 12 ქულა და 1 მოხსნა მოაგროვა.

მატჩის ბომბარდირი ნეაპოლელი ტომისლავ ზუბჩიჩი გახდა – 20 ქულა. მასპინძელთა შემადგენლობაში ითამაშა საქართველოს ნაკრების ყოფილმა უკანახაზელმა ჯეიკობ პულენმა, რომელმაც 21 წუთში 5 ქულა ჩააგდო.

ხუთი მოგებით „ვირტუსი“ იტალიის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში პირველობას გიგა ჯანელიძის „ვენეციასთან“ იყოფს, რომელსაც შემდეგ ტურში შეხვდება.

# ორიოდე სიტყვით

### ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

**ტირანა (ალბანეთი).** 23-წლამდელთა ახალგაზრდული მსოფლიოს ჩემპიონატი. **ოქრო** – გიორგი თოხაძე (55). **ვერცხლი** – რომეო ბერიძე (60). **ბრინჯაო** – ხვიჩა ანანიძე (77).

### ფარიკაობა

**სტამბოლი (თურქეთი).** ევროპის კადეტთა ციკლის სარეიტინგო ტურნირი. ოქრო – ალექსანდრა კუკაევა (**მწვრთნელი** – მერაბ ბაზაძე). საერთაშორისო კლასიფიკაციის მოხმალავე **ლიდერი** 16 წლისაა(!).

### ჩოგბურთი

**თელავი.** წყვილთა 15.000-იანი საერთაშორისო ტურნირი. **ფინალი.** ალექსანდრე მეტრეველი – თეიმურაზ გაბაშვილი (რუსთავი) – ზურაბ ტყემალაძე – გრიგორი ლომაკინი (ყაზახეთი) 2:0.

### ძიუდო

**კაუნასი (ლიეტუვა).** ევროპის ჩემპიონატი. საქართველოს ნაკრები – 6 მონაწილე, 6 მედალი(!), მათ შორის 5 **ოქრო** და 1 **ბრინჯაო.**

### მინი-ფეხბურთი

**საუდის არაბეთი.** მსოფლიოს ჩემპიონატი. ჯგუფური რაუნდი. მე-3 ტური. საქართველო – ირლანდია 10:1. ჰეთ-თრიქი აფციაურმა შეასრულა, თუმცა ტრავმა მიიღო. საბოლოოდ ბესო არველაძის გაწვრთნილმა გუნდმა პირველ ეტაპზე ქულათა მაქსიმუმით (9) პირველი ადგილი დაიკავა და დღეს პლეი-ოფში მასპინძლებს შეხვდება.

### კრივი

**საუდის არაბეთი.** სუპერმძიმე წონაში სატიტულო ბრძოლა. ტაისონ ფიური (დიდი ბრიტანეთი, WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი) – ფრენსის ნგანუ (კამერუნი, UFC-ის ყოფილი ჩემპიონი) 2:1 (96:93, 95:94, 94:95). აღსანიშნავია, რომ მესამე რაუნდში ბრიტანელი ფავორიტი ნოკდაუნში აღმოჩნდა, მაგრამ საბოლოოდ მსაჯებმა სადავო გამარჯვება მაინც მას მიაკუთვნეს.





# თენგიზ არჩვაძის სამძიმარი

**კიდევ ერთმა დიდმა ქართველმა დატოვა ეს წუთისოფელი და გადავიდა მარადისობაში.**

**გარდაიცვალა ყველასათვის საყვარელი და სამაგალითო პიროვნება, კინოსა და თეატრის ნამდვილი ვარსკვლავი, ბრწყინვალე მსახიობი და მამულიშვილი, საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო და შოთა რუსთაველის პრემიების ლაურეატი, რუსთავისა და თბილისის საპატიო მოქალაქე**

## თენგიზ არჩვაძე

**საქართველოს კულტურის ფონდი და მისი პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბატონი თენგიზის გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს ოჯახს, ახლობლებს და სრულიად საქართველოს.**

— — — — — — — — — — —

## 91 წლის თენგიზ არჩვაძეს

საუკუნისკენ მიდიხარ,
მინდა, გიხილო ასის,
თენგიზ ბატონო, დიდი ხარ,
მე ვიცი შენი ფასი...
აუმღვრეველი გონებით,
ყველა თვისებით კაცის,
დიდი აკაკის არ იყოს, —
„ხან მიწისა ხარ, ხან ცის.“

**თემურ ჩალაბაშვილი**
2023 წ.

# შეკვეთილის დენდროლოგიური პარკი უკვე 8 839 185 ვიზიტორმა დაათვალიერა

— ამის შესახებ ინფორმაციას ოზურგეთის მერი ავთანდილ თალაკვაძე ავრცელებს.

**„2020 წლის 15 ივლისიდან დღემდე, ჩვენს მუნიციპალიტეტში მდებარე, შეკვეთილის დენდროლოგიური პარკი 8 839 185 ვიზიტორმა მოინახულა. ეს რეკორდული მაჩვენებელი ადასტურებს პროექტის უდიდეს წარმატებას! მადლობა უნიკალური პროექტისთვის“,** — წერს სოციალურ ქსელში ოზურგეთის მერი.




# ჯაბა სამუშია ევროკავშირის ელჩსა და ვიძემეს (ლატვია) გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის რექტორს შეხვდა

**თსუ რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია ევროკავშირის ელჩს საქართველოში პაველ ჰერჩინსკის და ლატვიის ვიძემეს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის რექტორს აგნესე დევიდსონს შეხვდა. შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა განიხილეს ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები, ისაუბრეს თანამშრომლობის შედეგად მიღწეულ შედეგებზე და სამომავლო თანამშრომლობისთვის მზაობა გამოთქვეს.**



თსუ რექტორმა ევროკავშირის ელჩს სამომავლოდ უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის საჯარო ლექციის ჩატარება სთხოვა.

ევროკავშირის, მისი ინსტიტუციებისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობის ისტორიასა და მნიშვნელობაზე ისაუბრა ევროკავშირის ელჩმა პაველ ჰერჩინსკიმ და კიდევ ერთხელ გამოთქვა უნივერსიტეტთან თანამშრომლობისა და მხარდაჭერის მზაობა. უნივერსიტეტებს შორის უკვე არსებულ ურთიერთობასა და გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობაზე ისაუბრა ვიძემეს (ლატვია) გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის რექტორმა აგნესე დევიდსონმა და სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი გამოთქვა.



# კონსერვატორიის რექტორის მოვალეობას გიორგი შავერზაშვილი შეასრულებს

**საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მას შემდეგ, რაც კონსერვატორიის რექტორს, ქალბატონ ნანა შარიქაძეს უფლებამოსილების ვადა ისე ამოეწურა, რომ ახალი რექტორის არჩევა ვერ მოხერხდა, კონსერვატორია ვალდებული იყო, გამოეცხადებინა რექტორის მოვალეობის შემსრულებლის შესარჩევი კონკურსი და 21 ოქტომბრიდან 14 დღის განმავლობაში აერჩია რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,** — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, გიორგი შავერზაშვილი, რამდენიმე ათეული წელია, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში საქმიანობს.

**„ის არის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის პროფესორი, აკადემიური და სადისერტაციო საბჭოების წევრი, შესაბამისად, კარგად არის ინფორმირებული კონსერვატორიის ამჟამინდელი მდგომარეობისა და საჭიროებების შესახებ.**

**კულტურის სამინისტრო ულოცავს ბატონ გიორგის წარმატებას, უცხადებს მას ნდობას და გამოთქვამს იმედს, რომ გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, უნივერსიტეტის მართვა კონსერვატორიისა და სასწავლო პროცესის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად განხორციელდება“.**

# „შემოდგომის ლეგენდა 2023“ დაიწყო



**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი „შემოდგომის ლეგენდა 2023“-ის იმპროვიზაციული ტური კახეთში, წინანდლის მამულში დაიწყო.**

იმპროვიზაციულ ტურში მონაწილეობს პირველი ტურის შედეგად გამოვლენილი 9 ფინალისტი და ლეგენდის ქვეპროექტის – შემოქმედებითი მასტერკლასის „წერის არქიტექტურის“ კონკურსის გამარჯვებული. ფინალისტები ლიტერატურული ჟიურის მიერ შერჩეულ თემაზე „24/7“-ზე, თორმეტი საათის განმავლობაში ახალ ნაშრომებს შექმნიან.

კონკურსის შედეგად გამოვლინდება სამი გამარჯვებული, რომელთაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფულადი პრემია 1000, 700 და 500 ლარის ოდენობით, კონკურსის ჯილდო და კონკურსის პარტნიორის – კომპანია „გალფის“ სპეციალური პრიზები გადაეცემათ.

წელს ლეგენდის ჟიური 7 წევრისგან შედგება. მათ შორის არის სამი მუდმივი წევრი, მწერლები: დათო ტურაშვილი, თეონა დოლენჯაშვილი და მაკა ლდოკონენი. ასევე, ჟიურის წევრია კომპანია გალფის ვიცე-პრეზიდენტი ნინო ჯიბლაძე, მოწვეული წევრები ივა ფეზუაშვილი და დავით ქართველიშვილი, რომელიც ლეგენდის ჟიურის 15 წლისთავზე კვლავ შემოუერთდა და პირველი წლის მსგავსად ისევ ჟიურის შემადგენლობაშია; ჟიურის წევრია ასევე შარშანდელი გამარჯვებული თაკო წულაია, რომელიც ლეგენდის ტრადიციას აგრძელებს და გამარჯვების შემდეგ ჟიურის მუშაობას უერთდება.

ლეგენდა 2023-ში მონაწილეობა საქართველოში აკრედიტებული 26 უნივერსიტეტის 255 სტუდენტმა მიიღო, რომლიდანაც შიდა შესარჩევმა ჟიურიმ ათი საუკეთესო ნაშრომი გამოავლინა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და კომპანია „გალფის“ ერთობლივი პროექტი განკუთვნილია მათთვის, ვინც ქმნის პროზაულ ნაშრომებს, სურს მიიღონ ლიტერატურული გამოცდილება, გაიცნონ სფეროს წარმომადგენლები და გააცნონ თავისი ნაშრომი საქართველოს. კონკურსში მონაწილეობა საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებლის, სამივე საგანმანათლებლო საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტებს შეუძლიათ.

ლეგენდა 2023-ის გამარჯვებულები ნოემბრის ბოლოს გამოვლინდებიან. იმპროვიზაციულ ტურზე შექმნილი ნაშრომები კი, ტრადიციულ, ყოველწლიურ ბროშურაში დაიბეჭდება, რომელიც კონკურსის დაჯილდოებაზე მოსულ ყველა სტუმარს საჩუქრად გადაეცემა.

# ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი 140 წლისაა

**ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის დაარსებიდან 140 წელი შესრულდა. საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად ყოველწლიური დღესასწაული „ოლღაობა“ გაიმართა,** — ამის შესახებ ინფორმაციას, მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ავრცელებს.



ღონისძიების ფარგლებში გაიხსნა ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტირებული ძეგლი – ისტორიული მარანი, კოლეჯისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონის პროფესიული სტუდენტების მიერ მოეწყო აგრარული მასტერკლასები, გამოფენები და ეთნო კუთხეები. ასევე გაიმართა კოლეჯის შესახებ დოკუმენტური ფილმის ჩვენება და დაჯილდოების ცერემონიალი, ჩატარდა სადღესასწაულო კონცერტიც, რომელშიც მონაწილეობა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა – „ეროზამ“, „კალთამ“ და თიანეთის კულტურის სახლთან არსებულმა ანსამბლმა „აონმა“ მიიღეს.

„ოლღაობა“ ილია წინამძღვრიშვილის მეუღლის პატივსაცემად ყოველწლიურად იმართება. აღსანიშნავია, რომ ილია წინამძღვრიშვილმა სასწავლებელი სწორედ თავისი მეუღლის ინიციატივით დააარსა.

# მეფე ერეკლე



უფლის მიერ ნინევიაში გაგზავნილი იონა სხვა ხომალდში ჩაჯდა. გზას რომ გადაუხვია, უფლის ნებითვე ქარიშხალი ამოვარდა. აღელვებულ ზღვაში ისროლეს იონა, მაგრამ ვეშაპის მუცელში აღმოჩნდა. დიდი თევზის ბნელ სტომაქში სამი დღე და ღამე მისი ლოცვა შეისმინა უფალმა და ვეშაპმა მდინარის ნაპირზე ამოისროლა იგი. იონა ქრისტეს მორჩილებამ გადაარჩინა.

სამმა ვეშაპმა ჩვენს ქვეყანას თვალი რომ დაჰკრა,
დიდი ერეკლე მეფის ევროპისკენ გაჭრილ გზას გაჰყვა.
გაგზავნა სიტყვა თხოვნა-ვედრების და დაპირების,
რაც მთავარია, საქართველოს მაღალ ღირსების!
და ევროპისკენ მიმავალი გზები აივსო
ელჩთა ცხედრებით, ქართლ-კახეთიდან
წარგზავნილების!

პატარა კახი ფიქრთა მორევში რომ ჩაიძირა,
მისი ვარამი დრო-ჟამმაც რომ ვერ დაიტია,
სრულიად ქართლის შვიდას ათასი კაცის ამარამ,
იმ ვეშაპთაგან ერთი ირჩია,
შედეგმაც თავი მალევ იჩინა.

ზღვაში ნასროლი წმინდა იონაც
შავი ვეშაპის ბნელმა სტომაქმა
სრულად გაქრობას გადაარჩინა,
იმ უკუნეთში ლოცვა-ვედრებამ,
ქრისტეს გზის ჭვრეტამ,
კვლავაც მზის გულზე და კაცთა შორის აღმოაჩინა!

ერეკლეს გონმაც და ბრძნულმა ხედვამ
ქრისტეს ჯვრის მადლით
სხივმოფენილი სივრცე არჩია,
ამ ნაბიჯმა კი ქართველნი ერად
და ქრისტიანად გადაგვარჩინა!

უფსკრულთან მდგომი რიცხვმცირე სამწუხო
ტაო-კლარჯეთის ბედკრულ ქართველთა
გადაჯიშებულ ბედს ააცილა,
ქრისტეს გზით სვლამ კი ჩვენი ქვეყანა
ქრისტეს ნათელში კვლავ განაბრწყინა.

**ქეთევან გოდერძიშვილი**

# ელინისტური ხანის სამარხი ქართლში

**ნიჩბისში ელინისტური ხანის სამარხი აღმოაჩინეს. გათხრები ამ დროისთვის „ევროპის უნივერსიტეტის“ ორგანიზებით მიმდინარეობს და მასში არქეოლოგიის პროგრამის სტუდენტები არიან ჩართული.**

ჯამში შესწავლილია 72 სამარხი. აღმოჩენილი არქეოლოგიური არტე ფაქტები დაცულია „ევროპის უნივერსიტეტის“ ისტორიულ არქეოლოგიურ მუზეუმში.



# „მწიგნობარი 2023“ ამბროლაურში

**ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, გაჩანა გრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსის „მწიგნობარი 2023“ დასკვნითი ღონისძიება გაიმართა.**

ღონისძიებას ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი ზვიად მხეიძე, მერის მოადგილე თამარ ქევანაშვილი და სხვადასხვა სფეროდან მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. გამარჯვებულები თერთმეტ ნომინაციაში გამოვლინდნენ, რომელთაც სიგელები და სხვადასხვა სახის საჩუქრები გადაეცათ. გაჩანა გრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსი „მწიგნობარი“ დაარსდა 2004 წელს და მიზნად ისახავს ახალგაზრდებში წიგნიერების დონის ამაღლებას და სხვადასხვა სახის პროექტებში მათი ჩართულობის ხელშეწყობას.



# სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა მინიმუმ 31 ჟურნალისტი



**ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტი (CPJ) აცხადებს, რომ ისრაელ-ჰამასის ომში ამ დროისთვის 31 ჟურნალისტი დაიღუპა.**

ამავე ცნობით, ამ ჟურნალისტებიდან 26 მოკლეს ღაზაში, ოთხი დაიღუპა ისრაელში 7 ოქტომბერს „ჰამასის“ თავდასხმის დროს. ერთი ჟურნალისტი კი დაიღუპა ლიბანში. CPJ აცხადებს, რომ კიდევ 9 ჟურნალისტი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

**„განსაკუთრებით მაღალი რისკების წინაშე ღაზაში მყოფი ჟურნალისტები დგანან, რადგან ისინი კონფლიქტის გაშუქებას ისრაელის სახმელეთო თავდასხმის ფონზე ცდილობენ“,** – ნათქვამია კომიტეტის განცხადებაში.

# ბავშვები ღაზაში მარილიან წყალს სვამენ



გაეროს ბავშვთა დახმარების სააგენტო გტშსუა-ის ცნობით, ბავშვები ღაზას სექტორში კატასტროფული სიტუაციის წინაშე დგანან.

**„მშობლებს სხვა არჩევანი არ აქვთ, გარდა იმისა, რომ მათ მარილიანი წყალი მისცენ,“** – აცხადებენ გაეროში. ორგანიზაციის სპიკერმა ტობი ფრიკერმა განაცხადა, ღაზას სექტორში ომამდე დაწყებული ვითარება, კიდევ უფრო დამძიმდა. რაც შეეხება მარაგებს და დახმარებას, ტობი ფრიკერი ამბობს, რომ ეს უკიდურესად მინიმალურია. **„რასაც ახლა ყოველდღიურად ვხედავთ არის ის, რომ ბავშვებს კლავენ... ბავშვების სიცოცხლის შენარჩუნება, ახლა არის ნომერ პირველი ამოცანა“,** – აცხადებს ფრიკერი.

# მეჯიქ ჯონსონი მილიარდერთა სიაში შეიყვანეს



**ჯონსონის ქონება 41.2 მილიარდ დოლარად შეფასდა. ყოფილი კალათბურთელი ფლობს წილებს სხვადასხვა სპორტულ გუნდში, თუმცა Forbes-ის მონაცემებით, მისი ქონების დიდი ნაწილი სადაზღვევო კომპანიიდან მოდის, რომელშიც მას ასევე აქვს წილი.**

64 წლის ჯონსონი NBA-ს ერთ-ერთი გამოჩენილი მოთამაშე იყო. მან კარიერა 1996 წელს დაასრულა. Forbes-ის შეფასებით, სპორტული კარიერის დროს ჯონსონმა 40 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. Forbes-ის მილიარდერთა სიაში ჯონსონის გარდა კიდევ მხოლოდ 3 სპორტსმენია – NBA-ს ლეგენდები მაიკლ ჯორდანი და ლებრონ ჯეიმსი და გოლფის ვარსკვლავი ტაიგერ ვუდსი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია გაბრიჭიძე
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი
„საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 3 ნოემბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.7079; ევრო - 2.8877;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3012;
100 რუბლი - 2.0958; თურქული ლირა - 0.0959;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5925;
1000 სომხური დრამი - 6.7502

**ამინდი 1 ნოემბრისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +8, | დღე +24 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +3, | დღე +24 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +13, | დღე +30 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +7, | დღე +28 |
| თბილისი: | ღამე | +10, | დღე +23 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge